დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლა
საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზაზა ჭანტურია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები;

ია ძირკვაძე; ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

მზევინარი დარბაისელი; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მეგი ტალახაძე; საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნათია ქათამაძე; უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

მარიკა ბოცვაძე; ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ლილი კაცაძე; ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მზია შევარდნაძე; სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნინო გორგილაძე; მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ედუარდ ნაკაიძე; სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნათია კოხოძე; ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	247861602

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭვანი
ფაქტობრივი მისამართი	შუახევი. სოფელი ჭვანა მეოთხე ქუჩის I ჩიხი N 6
საფოსტო ინდექსი	6300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Chvana@mes.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577175721

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 9 26 0000170792, 16/02/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 19 და 20 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**დაწყებითი**	**სახელმწიფო ენა**	შუახევის მუნიციპალიტეტი. სოფელი ჭვანა (2 შენობა) 1 -ლი კორპუსი; სოფელი ჭვანა, მე 4 ქ. 1-ლი ჩიხი, N 6 მე-2-კორპუსი შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცივაძეები, მე 3 ქ. N 8

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბაზო**	**სახელმწიფო ენა**	შუახევის მუნიციპალიტეტი. სოფელი ჭვანა (1 შენობა) - 1 -ლი კორპუსი; სოფელი ჭვანა, მე 4 ქ. 1-ლი ჩიხი, N 6
3	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საშუალო**	**სახელმწიფო ენა**	შუახევის მუნიციპალიტეტი. სოფელი ჭვანა **(1 შენობა)** 1 -ლი კორპუსი; სოფელი ჭვანა, მე 4 ქ. 1-ლი ჩიხი, N 6

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 12 თებერვლის MES 9 26 0000170792 ბრძანების საფუძველზე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2026 წლის 18 და 19 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შუახევის მუნიციპალიტეტის სსიპ - ჭვანის საჯარო სკოლაში. (მისამართი; შუახევი, სოფელი ჭვანა, მეოთხე ქუჩის I ჩიხი, N 6) ექსპერტების ჯგუფმა დაგეგმა ორი დისტანციური შეხვედრა. ერთობლივად შევიმუშავეთ დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს სკოლამ გამოყო დირექტორის ბრძნებით N 01-01/02 (19.06.2025 წ.) დამტკიცებული ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო დოკუმენტაციის მატერიალურად მოწოდებაზე. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი, მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში. დაწესებულებაში სათანადო ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას. სკოლამ გაიმარჯვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ქვე-პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში და სკოლაში მოაწყო სახელოვნებო სივრცე, სადაც სწავლა-სწავლება მიმდინარეობს ცხრა მიმართულებით. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ეუფლებიან კეთებით სწავლის ხელოვნებას და ამზადებენ მასალებს თექაზე. ქმნიან ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშებს. მოსწავლეებმა ინტერვიუების დროს განმარტეს, რომ ეს სახელოვნებო კაბინეტი მათი თავშეყრის ადგილია, სადაც ხშირად კერავენ სხვადასხვა კოსტიუმებს, ამზადებენ თექის მასალებს, კაწრავენ ტილოზე, ქარგავენ და შემდგომ აწყობენ გამოფენებს, როგორც სკოლის, ასევე სოფლის/რაიონის ფარგლებში. მასწავლებეთან ინტერვიუთი დგინდება, რომ მომავალ სასწავლო წელს კიდევ აპირებს ხელოვნების სხვა მიმართულების დანერგვას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლას უდასტურდება 170 ერთეული მერხი და სკამი. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას **ორი ცვლის პირობებში.**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საგაზო საფეხური*	ხარვეზი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	მასწავლებელთა პირადი საქმეებისა და დადებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად მტკიცდება, რომ სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა შვიდ პედაგოგთან, რომელსაც სტატუსი არ აქვს დადასტურებული. ხელშეკრულება გაფორმებული იყო, როგორც ,,შემცვლელ“ მასწავლებელთან. სკოლის დირექტორის განცხადებით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ერთჯერადად ჰქონდათ გამოცხადებული ვაკანსია. კონკურსი ჩაიშალა, რადგან აღნიშნულ ვაკანსიაზე არავინ გამოცხადებულა. ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსიები შესაბამის პოზიციებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		აღნიშნულ პოზიციებზე შესაბამისი წესით გამოცხადდეს კონკურსი და აღნიშნულ პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოვიდეს კანონთან შესაბამისობაში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 01.06.2026 წ . - 10.09.2026 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.**
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლამ ვერ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული გეგმა, თუმცა აღსანიშნავია, რომ სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მიწერილობა (MES 1 25 001805636) და შესაბამისი სამსახურის საპასუხო წერილი. (რეგისტრაციის ნომერი - 4235148, 18.12.2025 წ.) შესაბამისად მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და დამტკიცება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით. სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგეგობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნა. სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოსამზადებლად მიმართვა შესაბამის უწყებასთან. **სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 14.04.2026 წ. - 05.09.2027 წ. პერიოდში.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.**

ინდიკატორი N 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	**სამედიცინო კაბინეტში არ არის დამონტაჟებული ონკანი. სკოლას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსი, აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს - 14.04. 2026 წ. - 01.09.2028 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს აღნიშნულ ვადებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.**
ინდიკატორი N 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არ არის დამონტაჟებული გამწოვი და არ არის შეყვანილი წყალი, რაც შესაძლოა არ იყოს საკმარისი საბუნებისმეტყველო კურიკულუმებით გათვალსიწინებული აქტივობების განსახორციელებლად. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 14.04.2026 წ. - 01.09.2028 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება განსაზღვრულ ვადებში.**
ინდიკატორი N 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას არა აქვს რესურს-ოთახი, სკოლის შიდა კიბეებზე არ არის პანდუსები, რამაც შესაძლოა მომავალში შეზღუდოს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილება, ამასთან საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია სკოლის მეორე სართულზე, შესაბამისად ის ვერ იქნება ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 15.04.2026 - 01.09.2028 წ.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება მითითებული ვადების დაცვით.**

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	**სკოლას მიეცა რჩევა**, რომ ინდიკატორის დასადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტები მოიყვანოს ქრონოლოგიურ თანხვედრაში და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი წარმართოს სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით. (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით 01-02/27, 2025 წლის 22 სექტემბერს.)

ინდიკატორი N 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლაში შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რომელმაც ჩაატარა სასკოლო საზოგადოების კვლევა, შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტები, რომლის განხილვა მოხდა ცალკე კათედრების და ცალკე მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ. დოკუმენტებით წარმოდგენილი პროცესი ქრონოლოგიურად არ მისდევს სკოლის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიას. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაში მოიყვანოს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ეტაპებთან.
ინდიკატორი N 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ეტაპებს მიუსადაგოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შექმნისა და დამტკიცების პროცედურები.
ინდიკატორი N 1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია დაკომპლექტდეს და განისაზღვროს კონკრეტული სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაიწყებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***

ინდიკატორი N 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	ვიზიტის დროს სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შვიდ პედაგოგთან, რომლებსაც არ ჰქონდათ დადასტურებული სტატუსი. ხელშეკრულება გაფორმებული იყო, როგორც შემცვლელი სტატუსის მქონე მასწავლებელთან. სკოლის დირექტორის განცხადებით, სექტემბრშიც ჰქონდათ გამოცხადებული ვაკანსია, თუმცა არავინ გამოცხადდა. ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსიები შესაბამის პოზიციებზე. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნულ პოზიციებზე გამოაცხადოს ვაკანსია კანონის შესაბამისად.
ინდიკატორი N 3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (დირექოტრის ბრძანება 01-02/22). წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში ჯერ შექმნილია პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (18 სექტემბერი, 2025 წელი) ხოლო შემდეგი თარიღით არის დამტკიცებული ხარისხისს უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნას. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ქრონოლოგიურ თანხვედრაში მოიყვანოს შესაბამისი დოკუმენტები.
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლაში ვიზიტის დროს ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მონიტორი დროებით განთავსებული იყო სკოლის ბიბლიოთეკაში, თუმცა სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ ვიდეო-სათვათვალო კამერების მონიტორი განთავსდება სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ გამოჰყოს შესაბამისი სივრცე, სადაც მხოლოდ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პირს ექნება წვდომა ვიდეო-სამეთვალყურეო ჩამწერ მოწყობილობასთან.

ინდიკატორი N 3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	**სკოლას მიეცა რჩევა** - ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დაამუშაოს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ვიზიტის დროს ბიბლიოთეკის კაბინეტში დროებით განთავსებული იყო ვიდეო-სამეთვალყურეო მოწყობილობა.
ინდიკატორი N 3.6.1.1.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	**სკოლას მიეცა რჩევა,** ჩამოაყალიბოს და ბრძნებით დაამტკიცოს ციფრული ტრანსპორმაციის ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს (ბრძანება N N02/31 24.09.2025) მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში გაპარული იყო კერძო სკოლისთვის გათვალისწინებული მექანიზმები (მუხლი 2, პუნქტი მე-5 - ,, კერძო სკოლაში რეგისტრაცია ხორციელდება სკოლასთან უშუალო კომუნიკაციით და შესაბამის პორტალზე რეგისტრაციით“) **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნული დოკუმენტი მოარგოს მხოლოდ საჯარო სკოლისთვის განსაზღვრულ მექანიზმებს.
ინდიკატორი N 4.1.2.2.	სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს	მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი საჭირო დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებით დგინდება, რომ სკოლის მიერ მოთხოვნილია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ ცნობა, რაც არ მოდის შესაბამისობაში ,, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო

		დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებასთან (ბრძანება N 675 16.08.2007 წ). **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნული პუნქტი ამოიღოს მოსწავლლის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების სიიდან.

სტანდარტი N1	*სასკოლო კურიკულუმი* *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურ*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.1.3	**კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**	კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს მშობელთა აზრი. მაგ: გაკეთდეს კითხვარები მშობლებისთვის, რომლებშიც გამოიკვეთება მშობლების აზრი წინა წლის დავალებებთან დაკავშირებით, კითხვარის შედეგები კი გათვალისწინებულ იქნეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში.
ინდიკატორი N 2.1.1.4	**კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**	კურიკულუმი აქტიურად იქნეს გაზიარებული მოსწავლეთა მშობლებისთვის.
ინდიკატორი N1.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე გადაიხედოს კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით. მაგ. ბიოლოგიის საბაზო საფეხურის კურიკულმში შემოქმედებითი დავალების იდეად არის განსაზღვრული ,,ოსტეოპოროზი'', კონტექსტში კი - ,,ძვლის ქიმიური

		შედგენილობა''. პრაქტიკულად ძვლის ქიმიური შედგენილობა არის შესასწავლი საკითხი და ოსტეოპოროზი კი - კონტექსტი. იდეის ფორმულირება შეიძლება იყოს ამგვარი - ,,საინფორმაციო ბუკლეტის ან პოსტერის (და ა.შ.) შექმნა ძვლოვანის სისტემის აგებულების და ფუნქციონირების შესახებ''. ასევე, მე-8 კლასის ქიმიის კურიკულუმში მართებულად არის განსაზღვრული შემოქმედებითი დავალების იდეა - საინფორმაციო ბუკლეტის საშუალებით თვალსაჩინოდ წარმოჩენა, თუ როგორ შეიძლება ნეიტრალიზაციის რეაქციის არსის შესახებ ცოდნის გამოყენება მჟავიანობასთან არსებული პრობლემის გადასაჭრელად. შესაცვლელია კონტექსტი - ,,რატომ უწოდეს მჟავას და ფუძეს შორის რეაქციას ნეიტრალიზაციის რეაქცია''. შეიძლება იყოს ამგვარი ფორმულირებით - ,,მჟავე ნიადაგზე კარტოფილის მოსავლიანობა''. ნეიტრალიზაციის რეაქცია დაკვალიფიცირდება როგორც შესასწავლი საკითხი. ასევე - ფიზიკის კურიკულუმში იდეაში წერია- პოსტერის შექმნა რომელშიც ასახული იქნება, თუ როგორ იცავს მკაცრ პირობებში თოვლის სახლი ადამიანებს ყინვისა და სიცივისაგან. უმჯობესია იყოს - ,,პოსტერის შექმნა სითბური მოვლენების შესახებ''(საკითხის მიხედვით). თოვლის სახლი კი იქნება კონტექსტმაგალითი. შედარებისთვის გამოდგება სხვა მაგალითი, სადაც ასევე შევხვდებით სითბურ მოვლენებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია კურკულუმების დანერგვისა და შემდეგ რევიზირების პროცესში სამივე საფეხურზე კურიკულუმს ქონდეს დავალების განხორციელელბის ეტაპები, თუ რა სრტარტეგიებითა და ხერხებით მუშავდებდაა შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება. შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა , კონტექსტმაგალითი და ზოგადად კურკულუმები მაქსიმალურად სკოლისა და შესაბამისი კლასის მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით დაიხვეწოს და განვითარდეს.

		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური სასურველია, კურიკულუმებს დაამატონ მეტი ისეთი შემოქმედებითი დავალება და რესურსი, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს სიღრმისეულად გააანალიზონ საგნობრივი საკითხები, მიიღონ ცოდნა პრაქტიკულ ცხოვრებასთან დაკავშირებული გამოცდილების გზით. კარგი იქნება თუ თითოეულ საგანში სწორად განისაზღვრება სტრუქტურული ერთეულების შინაარსი.
ინდიკატორი N1.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სამივე საფეხურის კურიკულუმებში მკაფიოდ ჩანდეს რომელი გრძელვადიანი მიზანი, რომელი საკითხით მუშავდება და შერჩეული შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში რომელი სამიზნე ცნებები მუშავდება. **დაწყებითი საფეხური:** მე და საზოგადოებაში, გრძელვადიანი მიზნების „ცვლილება“ (მე-3 კლასი), „ინსტიტუცია“ (მე-4 კლასი) დასამუშავებლად, მკაფიოდ განისაზღვროს საკითხი/საკითხები და სამიზნე ცნებები აისახოს კურიკულუმებში. სასურველია , ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში სავალდებულო თემების გადანაწილება სტანდარტით განსაზღვრული თანმიმედვრობით იყოს წარმოდგენილი. შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებებით დასამუშავებელი სამიზნე ცნებების გარდა, ჩანდეს სტანდარტით განსაზღვრული დანარჩენი გრძელვადიანი მიზნები რომელი საკითხით/საკითხებით მუშავდება. **საბაზო საფეხური:** მოქალაქეობის მე-7 კლასის კურიკულუმში, მე-3; მე-4 და მე-5 სავალდებულო თემებში- “ სრულყოფილად განისაზღვროს გრძელვადიანი მიზნები შერჩეულ საკითხებთან მიმართებით ისე როგორც პირველ და მეორე თემებშია წარმოდგენილი. საქართველოს გეოგრაფიის, მოქალაქეობის მე-9 კლასის კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები ჩამოყალიბდეს მიმდინარე/მოქმედი სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებებიდან გამომდინარე, ისე როგორ არის წარმოდგენილი მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმებში. მაგ; („მეწარმეობა და ინიციატივა“ აღარ არის

		სტანდარტით განსაზღვრული) , მე-9 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმი ყველა სამიზნე ცნება იყოს თემის ფარგლებში წარმოდგენილი. **საშუალო საფეხური:** მე-11 კლასის გეოგრაფიის და მოქალაქეობის კურიკულუმში, პირველ სავალდებულო თემაში სრულყოფილად განისაზღვროს გრძელვადიანი მიზნები შერჩეულ საკითხებთან მიმართებით ისე როგორც მეორე თემაშია წარმოდგენილი. მე-12 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში შემოქმედებითი კომპლექსური დავალების პირობა ლაკონიურად ფორმულირდეს. მსოფლიო ისტორიის მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმებში აისახოს გრძელვადიანი მიზანი „ისტორიული წყარო“. სასურველია, მე-12 კლასის მსოფლიო ისტორიის კურიკულუმში, სავალდებულო თემების გადანაწილება სტანდარტით განსაზღვრული თანმიმედვრობით იყოს წარმოდგენილი. მაგ; „ხანმოკლე მე-20 საუკუნე“ და „მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე“ და მასთან შესაბამისობაში იყოს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ქვეთემები დალაგებული. **უცხოური ენები** სასურველია სასწავლო პროექტების განხორციელება, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხო ენის სწავლებაში. ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას, ზრდის მოსწავლეების ჩართულობას და მოტივაციას, უვითარებს მოსწავლეებს 21-ე საუკუნეში წარმატებული ცხოვრებისათვის აუცილებელ უნარებს და კომპეტენციებს. **მათემატიკა** **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო) დაწყებითი და საბაზო საფეხურის კლასების კურიკულუმში სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს „კონტექსტ-მაგალითისა“ და „დავალების იდეა/პირობის“ შესაბამის სვეტებს, მეტი სიცხადით ჩანდეს შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და დავალების იდეა/პირობები. ყველა დაგეგმილ დავალებას კი თან ერთვოდეს დავალების იდეა, სადაც იქნება გამოკვეთილი თუ რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა

		რჩევა: (დაწყებითი) პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ II, VI კლასის კურიკულუმები. კერძოდ, II კლასის კურიკულუმში მკაფიოდ გაიწეროს თემა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები . VI კლასის კურიკულუმში კი ზოგიერთი თემის ფარგლებში, მაგალითად თემა: პროპორცია-ში გაერთიანებული საკითხები დაკლასტერდეს თემების მიხედვით და დაკორექტირდეს სამიზნე ცნება/ქვეცნებების სვეტი. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** კარგი იქნება, ამ საგნების კურიკულუმებში დაამატონ შემოქმედებითი დავალების იდეები და მათი პირობები; ქვეცნებები; რესურსები. სასურველია, რომ ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.
ინდიკატორი N1.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სამივე საფეხურზე დაკონკრეტდეს რომელ სახელძღვანელოს იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა. **სახელმწიფო ენა** სასურველია,მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში, გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **მათემატიკა** **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასურველია, მათემატიკის II, VI და XI კლასის კურიკულუმებში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი,

		რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. **რჩევა:** მასწავლებელს მიეცა რჩევა VI კლასის მათემატიკის კურიკულუმში მიეთითოს, თუ რომელი გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვითაა შედგენილი. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, ამ საფეხურზე საგნობრივმა კათედრებმა შეარჩიონ და კურიკულუმში გაწერონ მეტი და მრავალფეროვანი დამხმარე რესურსი.
ინდიკატორი N1.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** საეტაპო აქტივობებში, შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნეს მსწავლელის ტიპი მოსწავლებს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას.
ინდიკატორი N1.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკები გაიწეროს ესგ განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. მაგ. ქიმიის სტანდარტის მიხედვით, სამი სამიზნ ცნებიდან - ქიმიური ბმა,ნივთიერება, ფიზიკური და ქიმიური მოვლენები რა ხვედრით წილით გამოიკვეთება თითოეული მათგანი განმსაზღვრელ ქულასთან მიმართებაში. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** **დაწყებით საფეხური:** მე-4 კლასში მე და საზოგადოებაში ორიენტირდნენ მხოლოდ განმავითრებელ შეფასებაზე და რუბრიკებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები/ინდიკატირები იკითხებოდეს.

		საშუალო და საბაზო საფეხური: სამოქალაქო განათლების პროექტის ფარგლებში მხოლოდ განმავითრებელ შეფასებაზე ორიენტირდნენ და რუბრიკებშიც მხოლოდ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები/ინდიკატირები იკითხებოდეს. **უცხოური ენები** სასურველია სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც მოიაზრებს მოსწავლის აკადემიური მიღწევების/სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნას. **სახელმწიფო ენა** შეფასების რუბრიკები,სასურველია,მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე,რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს,რას აფასებთ,მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ სამიზნე ცნებასთან მიმართებით მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების მიხედვით.საორიენტაციოდ შეგიძლიათ ისარგებლოთ დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკებით, რომლებიც დანართის სახითაა წარმოდგენილი კურიკულუმებში. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, თითოეულ საგანში შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები. ასევე, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს. დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში ორიენტირდნენ მხოლოდ განმავითარებელ შეფასებაზე და მათ რუბრიკებში მხოლოდ განმავითარებელი უკუკავშირის ინდიკატორები იკითხებოდეს.
ინდიკატორი N 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასკოლო სასწავლო გეგმაში, საზოგადოერივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფიდან ამოიღონ საგანი „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“. ასეთი საგანი მიმდინარე ეროვნული სასწავლო გეგმით აღარ არის განსაზღვრული. **მათემატიკა**

		(დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია მოეწყოს მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.
ინდიკატორი N 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით შეფასების რუბრიკები გაიწეროს ესგ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეფასების სიტემის სტანდარტთან შესაბამისობა. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგანში , კურიკულუმებით განსაზღვრული ყველა სამუშაო- შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალება შეფასდეს, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკებით. **უცხოური ენები** სასურველია კათედრაზე თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სამიზე ცნებებს და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

ინდიკატორი N 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	მიეცათ **რჩევა,** რომ გაითვალისწინონ აღნიშნული. სკოლა ამჟამად მუშაობს ამ დოკუმენტის დახვეწაზე. საგნობრივი კათედრების წევრები კი აანონსებენ, რომ კათედრის სხდომებზე განხილავენ შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხს და ამ დისკუსიის შედეგად დახვეწენ შეფასების ინსტრუმენტებს. საერთო შეფასებით, მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია.
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** საბაზო, საშუალო საფეხურის მოქალაქეობის (მე-9 კლასი), მსოფიოს ისტორიის (მე-12 კლასი) კურიკულუმებში, რესურსების სვეტში, კონკრეტულად მიეთითოს როგორც ძირითადი სახელმძღვანელოდან გვერდი და პარაგრაფი, ასევე ელექტრონული რესურსების მისამართი. **სახელმწიფო ენა** სასურველია, ყველა კლასში, კურიკულუმებში წარმოდგენილია საკითხის შესაბამისად უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება **მათემატიკა** (საბაზო, საშუალო) სასურველია, რომ მათემატიკის II, VI და XI კლასების კურიკულუმში მკაფიოდ მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, რაც გააუმჯობესებს კურიკულუმის პრაქტიკულობას და გააჩენს რესურსების გააზრებულად შერჩევის კულტურას.
ინდიკატორი N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** პერიოდულად გადამოწმედეს საზოგადოებრივ მეცნიერებების ყველა საგნის კურიკულუმებში ჩაშენებული ელექტრონული რესუსრების ბმულები, დროულად მოხდეს მისი ჩანაცვლება , მითითებული ელექტრონული გვერდის ხარვეზის შემთხვევაში. სასურველია შეირჩეს ისეთი ოფიციალური წყაროების ბმულები, რომელთა მოქმედება გრძელვადიანი და მდგრადია. შერჩეული ბმულზე ინფორმაციის შინაარსი უკავშირდებოდეს დასამუშავებელ საკითხს. **მათემატიკა**

		რჩევა: (დაწყებითი, საბაზო საშუალო) მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასწავლო წლის დასაწყებად საჭირო აქტივობები, როგორიცა სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა, კურიკულუმების განხილვა-დამტკიცება და სხვა აუცილებელი ქმედებები განხორციელდეს სასწავლო წლის დაწყებამდე გონივრულ ვადაში. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა სასწავლო რესურსი, რომელიც ასევე საგნის კურიკულუმებშიც იკითხება (ვიდეო მასალები, სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, აქტიური ლინკები და სხვა) წინასწარ, სასწავლო წლის დასაწყისშივე იყოს შერჩეული და დამტკიცებული კათედრის სხდომაზე.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (MES 1 26 0000436726, 15/04/2026) და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. სკოლამ ამასთანავე

წარმოადგინა უკვე განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც ინდიკატორები, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. (მე-3 სტანდარტი, ინდიკატორი; *N 3.1.1.1.. ინდიკატორი - 3.1.1.2.. მე-2 სტანდარტი, (დაწყებითი/საბაზო /საშუალო საფეხური.) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. ინდიკატორი - 2.1.2.1.)*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანას საჯარო სკოლის (შემდგომში-სკოლა) კონცეპტუალური დოკუმენტები - მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიით გაცხადებულია, რომ სკოლა ორიენტირებულია შექმნას უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო, სადაც აღიზრდება 21-ე საუკუნის შესაფერისი განათლების მქონე, კრიტიკულად მოაზროვნე, დამოუკიდებელი, ტრადიციებისა და კულტურის მქონე მოქალაქე. სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები. კერძოდ; სკოლის ხედვაა, შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2025-2032წწ.), რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 22 სექტემბერს. (დირექტორის ბრძანება N 01-02/27), თუმცა დოკუმენტები, რომელიც სკოლამ წარმოადგინა, როგორც მისია, ხედვა-ღირებულებების შემუშავების ამსახველი მტკიცებულება, დათარიღებულია 16 დეკემბერით. (2025 წელი. სამუშაო ჯგუფის ოქმი N-1) წარმოდგენილი ოქმით დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა, ღირებულების მოსამზადებლად შექმნილმა ჯგუფმა შეიმუშავა კონცეპტუალური დოკუმენტები - მისია, ხედვა, ღირებულებები. ოქმში ჩაშენებულია სკოლის მისიისა, ხედვა ღირებულებების ამსახველი ნარატივი. თუმცა სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები (იგივე ნარატივი) დამტკიცებულია 2025 წლის სექტემბერს.სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინას სასკოლო სასწავცლო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან 2025 წლის 8 სექტემბერს, (ოქმი N 1), სადაც ჩაშენებულია სკოლის მისია/ხედვა/ ღირებულებები - იგივე ნარატივი. **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები მოიყვანოს ქრონოლოგიურ თანხვედრაში და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი წარმართოს თავისივე მეთოდოლოგიის მიხედვით. (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით 01-02/27, 2025 წლის 22 სექტემბერს.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას მიერ გაცხადებული მისიისა და ხედვის შინაარსით და სკოლის მიერ წარმოდგენილი შიდა დოკუმენტებით (სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები) დასტურდება, რომ სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ უნარებს, რომელიც საჭიროა სოციალური ინტეგრაციისათვის, წარმატებული ცხოვრებისა და საზოგადოების აქტიურ მოქალაქე ჩამოყალიბებისათვის. სკოლაში თვალშისაცემი იყო პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემო, რაც ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 01-02/43) შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული სასკოლო საზოგადოებაში ჩატარებული კვლევის ამსახველი მასალები და ოქმი, რომელიც ადასტურებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლაში შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რომელმაც ჩაატარა სასკოლო საზოგადოების კვლევა, შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტები, რომლის განხილვა მოხდა ცალკე კათედრების და ცალკე მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, პროცესი ქრონოლოგიურად არ მისდევს სკოლის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიას. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაში მოიყვანოს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ეტაპებთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების პროექტი შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დასტურდება, რომ პროექტის შემუშავებას წინ უძღვოდა სასკოლო სასკოლო საზოგადოებაში ჩატარებული კვლევა და შედეგების ანალიზი. სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოყენებულია ელექტრონული საკომუნიკაციო არხები; სკოლის ვებ/გვერდი, სოციალური ქსელები და სხვადასხვა ბლოგები. სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იყო სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, სკოლის დირექტორის განმარტებით მოხდა ზემიპირი უკუკავშირის გაცემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან და საბოლოოდ სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით. სკოლაში ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტების ბეჭდური მასალები არ არის გამოკრული სკოლის შენობაში. სკოლის ფილოსოფიის - მისია/ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მიხედვით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი; სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ N 01-02/43
2. დანართი; მისია ,ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი
3. დანართი; სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და ბრძანება ჯგუფის შექმნის დამტკიცების შესახებ N 01-02/27
4. დანართი; ფილოსოფიისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი საჭირო ღონისძიების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის N 1 ოქმი
5. დანართი; ფილოსოფიისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი საჭირო ღონისძიების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის N 2 ოქმი
6. დანართი; ამონაწერი რეესტრიდან
7. დანართი ; სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის კითხვარი და ანალიზი
8. დანართი; ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 22 სექტემბერს. (ბრძანება N 01-02/27) აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულნი არიან შემდეგი მხარეები: სკოლის დირექცია;სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი); სამეურვეო საბჭო, თემი. ამავე მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს: ა.თანამონაწილეობა; ბ. სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება - სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმეტების მათთვის გაზიარებას; გ.გამჭვირვალობა; დ.ანგარიშვალდებულება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს ოქმით N 6. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს. განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა და მიზნის

მისაღწევს გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განხილვა/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებამდე სკოლაში სპეციალური კითხვარების შევსებით ხდება საჭიროებების გამოვლენა. სკოლის განვითარების სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის პროექტები წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას, განხილვას და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დგინდება, რომ ოქმის ნომრები იყო გასასწორებელი. წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმას ეწერა - შეთანხმებულია სამეურვე საბჭსთან და დამტკიცებულია დირექტორის მიერ. სკოლამ გაითვალისწინა ტექნიკური ხარვეზი და იქვე გაასწორა აღნიშნული ტექნიკური წუნი. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მისია/ხედვა/ ღირებულებების ამსახველი მასალები შეიქმნა დეკემბერში, ხოლო სტრატეგიული სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა შექმნილი და დამტკიცებულია სექტემბერში. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ეტაპებს მიუსადაგოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შექმნისა და დამტკიცების პროცედურები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2025 -2026 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულია საგნობრივი კათედრებისა და დირექტორის მონაწილეობით. იგი განიხილება პედაგოგიური საბჭოს მიერ სექტემბრის დასაწყისში პედსაბჭოს პირველ სხდომაზე. თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იყო მითითებული სხდომის ოქმი. სკოლას მიეცა რჩევა, რომ დოკუმენტურად ასახოს, რომელი სხდომის ოქმით შემუშავდა და დადმკიცდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა სრულად გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. გეგმა

ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლას სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი აქვს ცხრილის ფორმით. გეგმაში მოცემულია გაზომვადი ინდიკატორები და განსაზღვრულია შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისრუტი. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია, თუ როგორ ხდება იდენტიფიცირებული გმაოწვევების გადაჭრა. ამოცანები და ძირითადი ქმედითი ღონისძიებები დაფუძნებულია სტრატეგიული გეგმის მიზნებზე და გამომდინარეობს სკოლის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული და განსაზღვრულია შვიდწლიანი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა
2. დანართი N 8 ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა
3. დანართი N 9 სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
4. დანართი N 10 სამეურვეო საბჭოს ოქმი -7 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის შესახებ
5. 1 სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-2 მუხლი, რომლის თანახმადაც სკოლამ სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება უნდა განახორციელოს დოკუმენტის შექმნიდან 3 წლის შემდეგ ან საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმური მონიტორინგიც. ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგს ახორციელებდა ადმინისტრაცია. მეთოდოლოგიის თანახმად კი აღნიშნულ პროცესს კოორდინაცია უნდა გაეწია სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს (წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად სამუშაო ჯგუფი იქმნება სკოლის დირექტორის ბრძანებით). სკოლის ადმინისტრაციამ ვიზიტის პროცესშივე გაასწორა აღნიშნული შეუსაბამობა და შესაბამისობაში მოიყვანა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც მონიტორინგის პროცესი წარიმართება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად, სადაც სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას მონიტორინგს უწევს არა თავად დამგეგმავი სტრუქტურული ერთეული, არამედ დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. .სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დგინდება სკოლის მზაობა, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. მეთოდოლოგიის შესაბამისა, სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ანხორციელებს დირექტორის მიერ დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის საქმიანობის საფუძველზე. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სამშაო ჯგუფი, რომელიც სასწავლო ხარისხის მონიტორინგსა და შეფასებაზე მუშაობს, თუმცა ჯგუფი, რომელიც სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შეფასებას ანხორციელებს, სკოლაში არ დასტურდება. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია დაკომპლექტდეს და განისაზღვროს კონკრეტული სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაიწყებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც, „შეესაბამება“.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების განხორციელების საჯაროობა, კერძოდ: ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე. სკოლის არსებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები განხილული და გაზიარებულია პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე, სკოლა აცნობიერებს, რომ შედეგების გასაჯაროება მნიშვნელოვანია, ამიტომაც 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს განათავსებს საინფორმაციო დაფაზე, ასევე სოციალურ სივრცეში სკოლის ფეისბუქ გვერდზე. რათა საზოგადოების

წევრებისაგან (სასკოლო თემისგან) მიიღოს შესაბამისი უკუკავშირი. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგები გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისათვის. კალენდარული წლის ბოლოს 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო პროცესისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ფაზები ანალიზისა და შეფასებისათვის, რის შემდეგაც მიღებულ მიგნებებს/დასკვნებს სკოლა გაითვალისწინებს მომავალი სასწავლო წლისათვის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. **სკოლას მიეცა რჩევა,** შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესულების შედეგების ანალიზის ფორმა, რითაც წლიურ სამოქმედო გეგმის თითოეულ პუნქტს შეაფასებს და შემდგომი ანგარიშით წარდგება პედსაბჭოს წინაშე.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა
2. დანართი N 8 ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა
3. დანართი N 9 სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
4. დანართი N 10 სამეურვეო საბჭოს ოქმი 7 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის ფინანსური მდგომარეობისა და ანგაირშების შესახებ.
5. სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები. (ბრძანება N 01-02/30, 22 სექტემბერი, 2025 წელი). ვიზიტის დროს აღნიშნულ დოკუმენტში მხოლოდ პედაგოგების ფუნქცია-მოვალეობებზე იყო საუბარი. სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები არც სკოლის შინაგანაწესშია განსაზღვრული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ გაწეროს საშტატო განრიგით გათვალისწინებული სტრუქტურული და თანამედებობრივი ერთეულების ფუნქცია მოვალეობები. სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. სკოლის დირექცია შედგება დირექტორისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია შედგება საქმისმწარმოებელის, ბიბლიოთეკარისგან. ხოლო ტექნიკური პერსონალი შედგება დარაჯებისა და დამლაგებლისაგან. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი (01-02/22 - 15 სექტემბერი, 2025 წ.), რომელიც პასუხისმგებელია ხარისხის მართვაზე, სკოლის ძირითად პროცეზებზე როგორიცაა: კურიკულუმის განვითარება ,სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა.

სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები; დირექტორის ბრძანება N 01-02/03. 8 მარტი, 2026 წელი. - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და თანამდებობრივი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი N 3.1.1.1. შეფასდა, როგორც შეესაბამება.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით. დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, განსაღვრავს თითეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N01-02/30), რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აღნიშნულ დოკუმენტში არის გაწერილი წახალისების მექანიზმები, მადლობა და ა.შ. თუმცა ეს დოკუმენტი განსაზღვრავს მხოლოდ პედაგოგების მართვის პოლიტიკას. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ დოკუმენტებში სტრუქტურით გათვალისწინებული სხვა თანამშრომლების ფუნქცია მოვალეობები არ არის განსაზღვრული. სკოლაში ვიზიტის დროს მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის, როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები რეგულირდება მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე. ისეა გადანაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე. სტრუქტურული ერთეულით გათვალისწინებული თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები არ არის განსაზღვრული არც სკოლის შინაგანაწესში.

დაწესებულებამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები - დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (ბრძანება N 01-02/03. 08.04 2026 წ) - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ დოკუმენტებში გათვალისწინებულია სტრუქტურით განსაზღვრული ყველა თანამშრომლების ფუნქცია მოვალეობები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.2. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. N 11 დანართი - თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები
2. N 12 დანართი - კათედრის სამოქმედო გეგმა
3. N 13 დანართი -თვითმმართველობის დებულება ბრძანება N 01-02/45
4. N 14 დანართი- კათედრის დებულება
5. N 15 დანართი - მასწავლებლის კონკურსის ჩატარების წესი
6. N 16 დანართი პედაგოგიური საბჭოს დებულება ბრძ N 01-02/47
7. N 17 დანართი სკოლის სტრუქტურა
8. N 18 დანართი სკოლის დებულება
9. N 19 შეფასების ვერიფიკაციის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, (ბრძანება N 01-02/30, 23 სექტემბერი 2025 წ.) რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის

მართვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია: ა) სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა; ბ) დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება; გ) დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. თუმცა დოკუმენტი არეგულირებს მხოლოდ მასწავლებლების საქმიანობასა და მართვის პროცედურებს. დოკუმენტში არ არის გაწერილი სხვა თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობების შესახებ. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნულ დოკუმენტში გაითვალისწინოს საშტატო განრიგით განსაზღვრული სხვა თანამშრომლების მართვის პროცედურებიც.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც ადგენს შრომითი უფლებების პირობებს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დროს, სამუშაოზე დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, შვებულებით სარგებლობის შესახებ რეგულაციებს. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტი განსაზღვრავს პედაგოგების ინტერვენციული მართვის საკითხებსაც. კერძოდ, არეგულირებს დასაქმებული მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ შემუშავებული დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები არის გამჭირვალე და ხელმისაწვდომი ყველასთვის. სკოლაში კადრების საჭიროების დადგენის შემდეგ მასწავლებელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსის წესით, ხოლო ადმინისტრაციისა და სხვა თანამშრომლების შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდელობის შესაბამისად.სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ,საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკმუნეტაცია, ასევე თანამშრომლების პირადი საქმეები, სადაც წარმოდგენილია დასაქმებულები პირების ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და ასევე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა პედაგოგების მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

დაწესებულებაში პედაგოგებთან გაფორმებულია მათი კვალიფიკაციის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან. სკოლაში ვიზიტისას ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომელბის პირად საქმეებს. მასწავლებელთა პირადი საქმეების და დადებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად მტკიცდება, რომ მიმდინარე ხელშეკრულება დადებულია კანონთან შესაბამისობაში, თუმცა ვიზიტის დროს სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შვიდ პედაგოგთან, რომელსაც არ ჰქონდა დადასტურებული სტატუსი. ხელშეკრულება გაფორმებული იყო, როგორც ,,შემცვლელ“ მასწავლებელთან. სკოლის დირექტორის განცხადებით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ერთჯერადად ჰქონდათ გამოცხადებული ვაკანსია. კონკურსი ჩაიშალა, რადგან აღნიშნულ ვაკანსიაზე არავინ გამოცხადებულა. ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა გამოცხადებული

ვაკანსიები შესაბამის პოზიციებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნულ პოზიციებზე შესაბამისი წესით გამოცხადდეს კონკურსი და აღნიშნულ შვიდ პედაგოგთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოვიდეს კანონთან შესაბამისობაში.

სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 01.06.2026 წ. - 10.09.2026 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.2.4. შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“ .

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

   დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად, გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და სხვ. საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპს. სკოლა ცდილობს ყველასთვის შექმნას კომფორტული და თანასწორი გარემო, რათა პერსონალმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გამოვლენა. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. წახალისება აისახება მადლობის გამოცხადებაში. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება ასახულია სკოლის შინაგანაწესში.

   ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ სკოლა ახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას და ითვალისწინებს წახალისების მექანიზმებს, როგორიცაა: მადლობის სიგელი, პრემირება. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება კათედრის სხდომებზე და პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები, რომლებიც ასევე წარმატებით უზიარებენ ერთმანთს გამოცდილებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. N 11 დანართი თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
2. N 21 დანართი - პირადი საქმეების ნიმუშები
3. N 22 დანართი - emis teachers თანამშრომლების სია
4. N 23 დანართი - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
5. N 24 დანართი - ბრძანება პრემიაზე
6. N 15 მასწავლებელთა კონკურსის ჩატარების წესი
7. N 25 დანართი -პედსაბჭოს N 1 ოქმი
8. N 26 დანართი -პედსაბჭოს ბოლო სხდომა
9. N 27 დანართი საკვალიფიკაციო მოთხოვნები
10. N 28 დანართი კათედრის სხდომის N 1 ოქმი
11. N 30 დანართი შინაგანაწესი
12. მართვის საინფორმაციო სისტმის მონაცემები;
13. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, (დირექტორის ბრძანება N 01-02/30, 23 სექტემბერი, 2025 წ.) რომლითაც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებისა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტი, რომლითაც დაადგენს პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მექანიზმებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა პერსონალის საჭიროებებს ასახავს სამოქმედო გეგმაში, რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება. ინტერვიუებით ასევე დგინდება, რომ სკოლა პერსონალის განვითარებას ანხორციელებს სამუშაო პროცესზე დაკვირვებისა და ურთიერთდასწრების საფუძველზე. ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს დააზუსტა, რომ პერსონალის საჭიროებებს განიხილავენ ინდივიდუალურად, პედაგოგებისაგან და სხვა თანამშრომლებისაგან ღებულობენ საჭიროებების შესახებ ინფომრაციას და გეგმავენ შესაბამის რელევანტურ ინტერვენციებს, აქტივობებს, რაც გამოიხატა კონკრეტული ტრენინგ-კურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებით. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი სერთიფიკატებით და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინგი, ვორქ-შოფები, სადაც დაეუფლნენ სწავლა-სწავლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, შეიძინეს საჭირო ინფორმაცია.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა სისტემატიურად ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით სკოლა გამოთქვამს სრულ მზაობას პროფესიული განვითარების მიზნით მიიღოს გარედან შემოთავაზებული სერვისებიც.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მიზნით ახორციელებს სხავდასხვა ღონისძიებებს: სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა პედსაბჭოზე/შეხვედრაზე, თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა, უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა. კათედრის წევრები არიან კეთილგანწყობილ და კოლეგიალურ ურთიერთობაში ერთმანეთთან. სკოლაში იგრძნობა კოლეგიალური სამუშაო გარემო, რითაც შეგვლიძლია დავასკვნათ, რომ ახალ თანამშრომელს ადაპტაცია არ გაუჭირდება. ახალი თანამშრომლის მიღებასთან და მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში. (ბრძანება N 02/30, 30 სექტემბერი, 2025 წელი). სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს ,,ახალი თანამშრომლის ადაპტაციის დებულება.“
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში გათვალისწინებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატიცების წახალისება, სადაც არსებული ბიუჯეტისა და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით გაწერილია

წახალისების ფორმები. მნიშვნელოვანია, რომ პერსონალმა მიიღოს პოზიტიური სტიმული. მოტივაციის კრიტერიუმები არის გამჭვირვალე და ეფუძნება სამართლიანობის პრინციპებს. მოტივაციის ფაქტორებად განიხილება: პრემია, ჯილდო, შექება, საჯარო მადლობა, საჯაროდ ღვაწლის დაფასება, მადლობის წერილი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1 დანართი 23 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
2 დანართი 31 ახალი თანამშრომლის ადაპტაციის დებულება
3 დანართი 33 გაკვეთილზე დასწრების ფორმა
4 დანართი 34 სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ანალიზი
5 დანართი 35 ხარისხისა და შეფასების ვერიფიკაციის ჯგუფის დებულება
6 დანართი 19 შეფასების ვერიფიკაციის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, (დირექტორის ბრძანება N 01-02/35), რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტი არეგულირებს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებსაც. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (დირექოტრის ბრძანება 01-02/22). წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში ჯერ შექმნილია პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (18 სექტემბერი, 2025 წელი) ხოლო შემდეგი თარიღით არის დამტკიცებული ხარისხისს უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნას. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ქრონოლოგიურ თანხვედრაში მოიყვანოს შესაბამისი დოკუმენტები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესები. კერძოდ, მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, (01-02/36, 26 სექტემბერ, 2025 წ.) აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლის შინაგანაწესში დეტალურადაა აღწერილი პედაგოგებისა და მოსწავლეების დისციპლინარული გადაცდომების სახეობები. შესაბამისად, გასაჩივრებისა და საჩივრების დროს სკოლა ეფუძნება აღნიშნულ დოკუმენტს. სკოლაში არსებობს საჩივრების განხილვის სტრუქტურული ერთეული-დისციპლინური კომიტეტი. სასკოლო საზოგადოების მხრიდან გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განსახილველად, მასში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით) და მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით); საჭიროებების შემთხვევაში სკოლაში შეიქმნება სააპელაციო კომისია. სკოლამ მტკიცებვულკებად ასევე წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, (ბრძანება N 01-02/33, 25 სექტემბერი, 2025 წ.) აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, (ბრძანება N 01-02/33, 25 სექტემბერი, 2025 წ.) აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 14 კათედრის დებულება
2. დანართი N 15 მასწავლებლის კონკურსის ჩატარების წესი
3. დანართი N 36 მშობელთან ურთიერთობის დებულება
4. დანართი N 16 პედაგოგიური საბჭოს დებულება
5. დანართი N 37 პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
6. დანართი N 38 სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ანალიზი
7. დანართი N 39 სადამრიგებლო დებულება
8. დანართი N 40 საჩივრის და განცხადების განხილვის წესი
9. დანართი N 30 შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების ინფორმირება ხდება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული სტენდის, სოციალური ქსელების, სატელეფონო ზარების, სმს-ების მეშვეობით, მშობელთა კრებებსა და პირად შეხვედრებზე. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ საკუთარ შედეგებსა და პროგრესს, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ელექტრონულ ჟურნალში. ელექტრონულ ჟურნალზეწვდომა აქვს მოსწავლეს, კლასის დამრიგებელს, მშობელს, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია. სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. სკოლის შესახებ ყველა

საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდსა სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით,ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებს ქმნიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 13 მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
2. დანართი N 14 კათედრის დებულება
3. დანართი N 34 სასკოლო საზოგადოების კითხვარი და ანალიზი
4. დანართი N 25 პედსაბჭოს პირველი სხდომის N 1 ოქმი
5. დანართი N 26 პედსაბჭოს ბოლო სხდომის ოქმი
6. დანართი N 41 პედაგოგთა წლიური გამოკითხვის ნიმუში
7. დანართი N 16 პედსაბჭოს დებულება
8. დანართი N 43 სადამრიგებლო დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ-შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ორ შენობაში; 1-ლი კორპუსი განთავსებულია სოფელ ჭვანაში (მე-4 ქ. 1-ლი ჩიხი, N 6.) მე-2 კორპუსი მდებარეობს სოფელ ცივაძეებში, სადაც დაწყებით საფეხურზე სკოლას ერთი მოსწავლე. (მე-2 კორპუსი, შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცოვაძეები, მე-3 ქ. N 8) სკოლის ძირითად კორპუსში (სოფელი ჭვანა) საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განთავსებულია სახანძრო აღჭურვილობა. მოწესრიგებულია სკოლის ეზო. სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი - (ბრძანება N 01-04/05, 3 ნოემბერი, 2025 წ.) სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო-სათვალთვალო სისტემით. აღსანიშნავია, რომ ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მონიტორი დროებით (ვიზიტის პერიოდში) განთავსებული იყო სკოლის ბიბლიოთეკაში, თუმცა სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ ვიდეო სათვათვალო კამერების მონიტორი განთავსდება სპეციალურად განსაზღვრულა ადგილას.

სკოლას მიეცა რჩევა, რომ გამოჰყოს შესაბამისი სივრცე, სადაც მხოლოდ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პირს ექნება წვდომა ვიდეო-სამეთვალყურეო ჩამწერ მოწყობილობასთან.

სკოლის მე-2 კორპუსი (სოფელი ცივაძეები) სწავლება მიმდინარეობს ხის პატარა შენობაში, რომელშიც ერთი საკლასო ოთახია, ერთი ფოიე და მცირე სათავსო. აღნიშნულ შენობასთან მიმართებაში **სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული გეგმა, სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნა. სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადების მომზადების შესახებ დასკვნა. აღნიშნული შენობა არ არის შემოღობილი. თუმცა ასევე აღსაღნიშნავია, რომ სოფელ ცივაძეებში აღნიშნული შენობა არის ერთადერთი ადმინისტრაციული ერთეული.**

სსიპ-შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანას საჯარო სკოლა სამივე საფეხურზე ძირითად საქმიანობას ახორციელებს სოფელ ჭვანას N 1 შენობაში. აღნიშნულ შენობასთან მიმართებაში სკოლამ ვერ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული გეგმა, თუმცა აღსანიშნავია, რომ სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მიწერილობა (MES 1 25 001805636) და შესაბამისი სამსახურის საპასუხო წერილი. (რეგისტრაციის ნომერი - 4235148, 18.12.2025 წ.) შესაბამისად მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და დამტკიცება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით. სკოლაში სართულებზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, ცეცხლმაქრები, მიმანიშნებელი ნიშნები. **სკოლას არ ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას მიეცა რჩევა, რომ დირექტორის ბრძანებით განსაზღვროს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგეგობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნა. სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოსამზადებლად მიმართვა შესაბამის უწყებასთან.** სკოლის ადმინისტრაციას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსი აღნიშნული აქტივობის განსახორციელებლად. **სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადების მომზადების შესახებ დასკვნა.** თუმცა აღსაღნიშნავია, რომ სკოლის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ გამომდინარე იქედან, რომ შენობის მე-3 სართულზე დაგეგმილი და შეთანხმებულია სარემონტო სამუშაოების განხორციელება, შესაბამისმა სამსახურებმა რეკომენდაცია მისცა სკოლის ადმინისტრაციას, რომ სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ მოემზადებინათ სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. სკოლა მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანება ,,ჭვანის საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის შესახებ.“ (ბრძანება N 01-02/34) სკოლას განსაზღვრული ჰყავს ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა შესვენებების პერიოდში.

დირექციისა და კლასის დამრიგებლების მიერ ყოველღიურად ხორციელდება მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების კონტროლი, ხდება არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და მშობელთან დაკავშირება გამოუცხადებლობის მიზეზის დასადგენად. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი. შენობის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომლის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სამედიცინო კაბინეტში არის პირველადი მოხმარების მედიკამენტები. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. მოცემულ გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით **სკოლას შემუშავებული აქვს** საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. **აღსანიშნავია, რომ სკოლის ძირითადი შენობა (სოფელი ჭვანა, N 1 შენობა) ნაწილობრივ არის შემოღობილი. სკოლის ეზოს ესაზღვრება კერძო ტერიტორია, რომელიც არ არის გამიჯნული, აქედან გამომდინარე სკოლის ეზო შესაძლოა არ იყოს დაცული გარე პირებისაგან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სკოლის ბალანსზე არსებული ტერიტორია შემოიღობოს სრულად, რათა დაცული იყოს ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსი, რათა მოაგვაროს აღნიშნული საკითხი.**

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 14..04.2026 წ. - 05.09.2027 პერიოდში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.1. შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება.“

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები. სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - ,, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის შესახებ.“ (ბრძნება N 01-02/28. 22 სექტემბერი, 2025 წელი) სკოლას ჰყავს ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. (01-14/29. 1 იანვარი, 2025 წელი) მისი კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სამედიცინო კაბინეტის ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით არის ნაწარმოები გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა, სკოლა აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს. სამედიცინო კაბინეტში არ არის დამონტაჟებული ონკანი. სკოლას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსი, აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი. **შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ დაიცვას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები და ექიმის კაბინეტში დაამონტაჟოს ონკანი.**

ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია შესაბამისი აქტივობების განხორციელება - 14.04. 2026 წ. - 01.09.2028 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული აქტივობების განხორციელება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.2. შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება“

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N01-04/05) მორიგე მასწავლებელბის და სკოლის დარაჯი. სკოლაში შექმნილია მორიგეობის განრიგი, მასწავლებლები მორიგეობენ დასვენებაზე დერეფნებში და ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებს, დამრიგებელი დილით აკონტროლებს და აღწერს

დაგვიანებულ მოსწავლეებს, უკავშირდება მოსწავლის ოჯახს, ადგენს გაცდენის მიზეზს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ აკრძალულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა, სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლაში არის მეგობრული და პოზიტიური გარემო. ადმინისტრაციის განმარტებით მოსწავლეები, პირველიდან მეთორემტე კლასის ჩათვლით, მეგობრობენ ერთმანეთთან. ამისათვის სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს, რომელებიც ითვალისწინებენ ბავშვთა უფლებების გაცნობასა და ამ უფლებების რეალიზებას, მასწავლებლების მიერ გაცემული შეფასებები, უკუკავშირი, სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სასწავლო თუ სოციალურ პროექტები, სადაც მაქსიმალურად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. სკოლაში ეწყობა ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას იღებს ყველა კლასის მოსწავლე, რაც ხელს უწყობს პოზიტიურ, უსაფრთხო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

   სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და

სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია, მხოლოდ სკოლის პირველ სართულზე. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, (ბრძნება N 01-02/36, 26 სექტემბერი, 2025 წ. .) რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ, სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. (ბრძნება N 01-02/08, 29.06. 2025 წ.) სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. სისტემატურად მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირების მიერ მონაცემთა დამუშავებას. მათ შორის მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელებისათვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ვიზიტის დროს ძირითადი დოკუმენტები და პერსონალური ინფორმაცია ინახებოდა ბიბლიოთეკაში. ადმინისტრაციამ განმარტა, რომ ვიზიტის შემდგომ აღნიშნულ დოკუმენტებს გადაიტანენ დირექტორის კაბინეტში განსაზღვრულ ადგილას. პერსონალურ ინფორმაციასთან წვდომა აქვს მხოლოდ დირექტორს და დირექტორის ბრძნებით განსაზღვრულ პირს. (საქმისმწარმოებელს) მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში , არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ოთახი იკეტება გასაღებით, რომელიც ინახება პასუხისმგებელ პირთან. დაარქივებულ დოკუმენტები ინახება არქივში - შუახევის მუნიციპალიტეტში, ხოლო 5 წლის ფარგლებში დაწესებულებაში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 11 ხელშეკრულებების ნიმუში
2. დანართი N 37 პერსონალურ მონაცემების დაცვის პოლიტიკა

5. დანართი N 45 სამედიცინო დახმარების მექანიზმები

6. დანართი N 46 სამედიცინო დახმარების წესი

7. დანართი N 47 სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები.

10. დანართი N 30 სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, (N 24.07.01.223.) რომლის მიხედვითაც სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობის უფლებით აქვს გადაცემული. (მიწის ფართობი; 2221.00 კვ.მ, შენობის ფართობი; 1683.80) სკოლის პირველი და მეორე სართულები გარემონტებულია, მე-3 სართული და სპორტული დარბაზი საჭიროებს რემონტს. სკოლის მატერიალური რესურსი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საშუალებას იძლევა. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო,

ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი და სახელოვნებო სივრცის კაბინეტი) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო თუ შემეცნებით აქტივობებში ჩართვა, შესვენებაზე კი სრულფასოვანი დასვენება. სკოლის ძირითადი შენობა განთავსებულია სამსართულიან შენობაში. სასწავლო შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები; პირველ სართულზე 5 საკლასო ოთახი, მეორე სართულზე 2 საკლასო ოთახი და 4 კლას-კაბინეტი. გარდა საკლასო ოთახებისა შენობაში ასევე არის: ბიბლიოთეკა, დირექციის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, არქივი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, ლაბორატორია, დარაჯის ოთახი, კომპიუტერული ოთახი და სახელოვნებო სივრცის კაბინეტი. სკოლაში არის გათბობის ცენტრალური სისტემა, სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ბიჭებისთვის. სკოლაში მოწყობილია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიული კაბინეტი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არის კოლბები მულაჟები; მიკროსკოპები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა), რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. თუმცა **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არ არის დამონტაჟებული გამწოვი და არ არის შეყვანილი წყალი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსწავლეთა უსაფრთხოებას და არ იყოს საკმარისი საბუნებისმეტყველო კურიკულუმებით გათვალსიწინებული აქტივობების განსახორციელებლად.**

სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია აქტივობების განხორციელება - 14.04.2026 წ. - 01.09.2028 წელს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს განსაზღვრული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.5.1.1. შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება“.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობა არის სამსართულიანი. პირველ სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, ექიმის კაბინეტი, სააქტო დარბაზი და სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. (ერთი ადაპტირებული სველი წერტილი). მეორე სართულზე განთავსებულია ადმინისტრაციის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სახელოვნებო კაბინეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და საკლასო ოთახები. მესამე სართულზე, რომელიც სრულად არის სარემონტო, განთავსებულია საკლასო ოთახები და სპორტული დარბაზი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, კარადებით და სასკოლო დაფით. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების

წევრებისთვის. სკოლის ბიბლიოთეკა შედგება სათანადო წიგნდი ფონდისგან, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სასკოლო გარემო ისეა მოწყობილი, რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტული, უსაფრთხო და აკადემიური სივრცე. ნაწილობრივ ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებული რესურსები. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგგინა ლაბორატორიით სარგებლობის წესი, (დირექტორის ბრძანება 01-02/51) რომელიც ადასტურებს, რომ ლაბორატორია საერთო სარგებლობის სივრცეა და ლაბორატორიაში განთავსებული რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში მე-2 სართულზე ფუნქციონირებს სასკოლო ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია მხატვრული ლიტერატურა, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები,), რომლებიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება (01-02/21, 15 სექტემბერი 2025 წელი) სკოლის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესსა და პირობებს. დირექტორის განმარტებით, სკოლის ბიბლიოთეკაში უმოკლეს ვადაში დაიწყება სარემონტო სამუშაოები, რის გამოც ბიბლიოთეკა ნაწილობრივ იყო მოწესრიგებული. კერძოდ, ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ასევე სკოლაში არ არის არც ანბანური, არც თემატური კატალოგები, რაც დაეხმარებოდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. **სკოლას მიეცა რჩევა** - ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დაამუშაოს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ვიზიტის დროს ბიბლიოთეკის კაბინეტში დროებით განთავსებული იყო ვიდეო-სამეთვალყურეო მოწყობილობა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლაში ნაწილობრივ შექმნილია ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა ბავშვს შეეძლება თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერები. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, **თუმცა სკოლას არა აქვს რესურს-**

ოთახი, სკოლის შიდა კიბეებზე არ არის პანდუსები, რამაც შესაძლოა მომავალში შეზღუდოს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილება, ამასთან საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია სკოლის მეორე სართულზე, შესაბამისად ის ვერ იქნება ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.
ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 15.04.2026 - 01.09.2028 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.5.1.4. შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ სააქტო დარბაზი, მოწესრიგებული ეზო, საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, პროექტორითა და ეკრანით. მთელი სკოლა დაფარულია ინტერნეტით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1 დანართი-N 49 ფინანსური ანგარიშები ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები
2.დანართი-N 50 ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი
3.დანართი- N 51 ლაბორატორიებით სარგებლობის წესი
4.დანართი-N 6 ამონაწერი რეესტრიდან
შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა სრულად აღჭურვილია ტექნოლოგიურად. გამართულად ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის ბალანსზე ირიცხება 20 ერთეული სტაციონარული კომპიუტერი, 38 ერთეული ლეპტოპი, პრინტერი, 6 ერთეული პროექტორი. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფტასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. გაკვეთილებზე და საზიარო სივრცეებში - ბიბლიოთეკა/კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია - მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას აძლევთ. სკოლას არა აქვს ჩამოყალიბებული ციფრული ტრანსპორმაციის ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. **სკოლას მიეცა რჩევა,** შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს აღნიშნული დოკუმენტი. სკოლის ინცორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შექმნას ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც დაადგენს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების მკაფიო წესს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 49 ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (N01-02/52, 22 დეკემბერი 2025 წელი) დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. სკოლის მიერ შემუშავებული წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დოკუმენტების ფორმებსა და ტიპებს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრაციის, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების წესს. გამომდინარე იქედან, რომ სკოლაში საქმისწარმოება მატერიალურთან ერთად ხორციელდება ელექტრონული („eflow”) სისტემის საშუალებით, საქმისწარმოება მოიცავს ელექტრონულ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოალში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. სკოლას აქვს ელექტრონული მაილი chvana@mes.gov.ge, სადაც ხდება ინფორმაციის მიღება და შემოსულ წერილებზე პასუხის დაბრუნება. Eschool ელექტრონულ ბაზაში შეტანილია სკოლის ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის პესონალური მონაცემები. სკოლა იყენებს Office 365 -ის ღრუბლოვან სივრცეს, სადაც ტვირთავს ყველა საჭირო დოკუმენტაციას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. იგი წარმოადგენს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სერვერზე განთავსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, რომელიც აერთიანებს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ ინფორმაციას, რომლის დამუშავება ხორციელდება მხოლოდ ავტორიზებული მომხმარებლების მიერ. სისტემაში ასახულია სკოლის, საგანმანათლებლო პროგრამების, სისტემაში ელექტრონულად მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლის საქმისმწარმოებლის განმარტებით დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. სკოლას აღნიშნული პროცესები აღწერილი/დარეგულირებული აქვს შიდა აქტებით, საქმისწარმოების წესში განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება პროცესები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N 52 - საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს სრულყოფილი და მოქმედი ვებ-გვერდი, რომელიც რეალურად ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებ-გვერდზე ატვირთულია ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისი ინფორმაცია. საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს ფეისბუქ გვერდს, დახურული ჯგუფებს, რომლის საშუალებით შესაძლებელია სასკოლო საზოგადოებასან ინფორმაციის დროული მიწოდება. სკოლა ასევე იყენებს Teams-ის პლატპორმას, სკოლის ფეისბუქ გვერდი განახლებადია. სკოლის ადმინისტრაციის, დამრიგებლის და საგნის პედაგოგების მხრიდან აქტიურად ხდება ღონისძიებების, საგაკვეთილო პროცესების, არაფორმალური განათლების(ექსკურსია,ლაშქრობები) ამსახველი ფოტო მასალების .
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ადმინისტრაციის განმარტებით საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს; ელექტრონულ პლატფორმებსა და პირისპირ შეხვედრებს. (ელექტრონული ფოსტა, სოციალურიქსელი, დახურულიჯგუფები, teams-ისპლატფორმა), საქმისმწარმებელი განმარტავს, რომ სკოლის ადმინისტრაცია აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და კონკრეტულ შემთხვევებში ხდება ინფორმაციის წყაროსთან დაკავშირება დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

ვიზიტის პროცესში სკოლის ვებ-გვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო ფუნქციას. გვერდზე სახელმწიფო ენაზე არის განთავსებული სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია და შესაბამისი მასალები/მტკიცებულებები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. . https://skolebi.emis.ge/
2.ფეისბუქგვერდი https://www.facebook.com/share/17SSqdr7Zk/
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 7 (18.12.2025 წ.), რომელიც ეხება სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებას. 2026 წლის ბიუჯეტი მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართიN 53 -ბიუჯეტის დამტკიცება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლამ მტკიცებულებად დირექტორის მონაწილეობით შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით N 9 (2025 წლის 8 სექტემბერი) დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების გარანტიებს. დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებებს, განსაზღვრავს და არეგულირებს სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმებს, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს; სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათი შეზღუდვის საფუძვლებს; მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის და ტექნიკური პერსონალის სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლებებს, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის დაცვასა და ანაზღაურების წესს; სამუშაო დროის ხანგრძლივობას, შესვენებისა და დასვენების დროს, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავ ჩამონათვალს, ეთიკის ნორმებს, თანამშრომელთა და მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს, წახალისებისა და სანქციების გამოყენების პრინციპებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - 01-08/48, 20 დეკემბერი, 2025 წელი, საჩივრის განხილვის საჩივრებისა და განხილვის განცხადების წესი.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელიც ითვალისწინებს მშობლის მიერ სკოლის შინაგანაწესის გაცნობის დადასტურების ფაქტს. სადამრიგებლო პროგრამაში გათვალისწინებულია დამრიგებლების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებსა და /კანონიერ წარმომადგენლებთან სკოლის შინაგანაწესის გაცნობა და გაზიარება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც არის გამჭვირვალე; დაზუსტებულია მშობლის/მოსწავლის/სკოლის უფლებები და ვალდებულებები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი-N 55 ხელშეკრულებები მშობლებთან

2. დანართი-N 40 საჩივრებისა და განხილვის განცხადების წესი

3. დანართი -N 30 შინაგანაწესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს (ბრძანება N N02/31 24.09.2025) მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში

გაპარული იყო კერძო სკოლისთვის გათვალისწინებული მექანიზმები (მუხლი 2, პუნქტი მე-5 - ,, კერძო სკოლაში რეგისტრაცია ხორციელდება სკოლასთან უშუალო კომუნიკაციით და შესაბამის პორტალზე რეგისტრაციით“) **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნული დოკუმენტი მოარგოს მხოლოდ საჯარო სკოლისთვის განსაზღვრულ მექანიზმებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ სკოლა ძირითადად მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა; მოსწავლეთა მობილობა; საფეხურის დაძლევა. მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი საჭირო დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებით დგინდება, რომ სკოლის მიერ მოთხოვნილია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ ცნობა, რაც არ მოდის შესაბამისობაში ,, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებასთან (ბრძანება N 675 16.08.2007 წ). **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნული პუნქტი ამოიღოს მოსწავლლის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების სიიდან.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დგინდება, რომ მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლის მიერ დადგენილი წესით აკრძალულია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება სკოლის მზაობა, უზრუნველყოს სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისადმი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ მეურვეებისთვის. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სკოლის მიერ ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსდეს სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე სკოლის ვებ-გვერდზე, ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა (მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის) დაცვით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.დანართი N 56 მოსწავლის ჩარიცხვის წესი
2. დანართი N 57 მშობლებთან ურთიერთობის დებულება
შეფასება:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი''. (ბრძანება N 01-02/24, 16 სექტემბერი, 2025 წ.) ადმინისტრაცია პირველკლასელი მოსწავლეების და ასევე, მობილობით გადმოსული მოსწავლეებისთვის, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში (,,მოსწავლის ადაპტაციის წესი“) გათვალისწინებულია მოსწავლის სოციალიზაციისა და ადაპტაციის ფაქტორები. კერძოდ, განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას

სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს კომფორტული შექმნას, რაც ადაპტაციის წინა პირობაა. ყველა საკლასო ოთახში თუ კლას-კაბინეტში განთავსებულია ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარი, საკლასო სივრცეები ისეა მოწყობილი, რომ მოსწავლეს სრული წინა პირობა აქვს, ემოციურად მყუდრო გარემოში დაეუფლოს სხვადასხვა დისციპლინებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით სკოლა გეგმაზომიერად იყენებს იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს მოედანს, სპორტულ და სააქტო დარბაზებს. სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის

ბრძანებით (N 01-02/54, 24 დეკემბერი, 2025 წ.) მოსწავლეთა მედიაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ვიზიტის დროს არ ფუნქციონირებდა სასკოლო კლუბები, სკოლა ხშირად ატარებს სხვადასხვა სპორტულ თუ შემეცნებით აქტივობებს. დაწესებულებამ გაიმარჯვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ქვეპროგრამისფარგლებში გაიმარჯვა და აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოაწყო სახელოვნებო სივრცე, სადაც მიმდინარეობს ცხრა სახეობის მიმართულებით მუშაობა; თექა, ძერწყვა, კერვა და ა.შ.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან გეგმაზომიერად იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და მიღებული უკუკავშირის კვლევის საფუძველზე ცდილობს მომსახურების გაუმჯობესებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 58 მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
დანართი N 64 დაწყებითი საბაზო საშუალო საფეხურის კურიკულუმები

დანართი N 59 მოსწავლეთა შორის მედიაციის წესი
დანართი N 60 მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი
დანართი N 66 სკოლის სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ანალიზი
დანართი N 61 სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში ფუნქციონირებს სახელოვნებო კაბინეტი, სადაც მოსწავლეები არაფორმალურ გარემოში ეუფლებიან ხელოვნების სხვადასხვა სახეობებს. სკოლის მოსწავლეებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ ხშირად აკეთებენ, ამზადებენ სხვადასხვა ინვთებს და ადგილობრივ თემში გამოფენებს. ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა ცდილობს არაფორმალური განათლების საშუალებით ხელი შეუწყოს მოსწავლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესებს. დამრიგებლები სადამრიგებლო საათის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს. წარმოდგენილი ვიზუალური მასალით დასტურდება, რომ სკოლამ განახორციელა რამდენიმე შეხვედრა ხიჭაურის ინივერსიტეტ, გორის უნივერსიტეტის, გორის სამხედრო აკადემიის წარმომადგენლებთან. სკოლას მიეცა რჩევა, რომ გააფორმოს მემორანდუმი რომელიმე პროფესიულ სასწავლებეთან, რაც საშუალებას მისცემს სკოლას, მუდმივად მიაწოდოს სხვადასხვა პროფესიებთან დაკავშირებით ინფორმაცია სკოლის მოსწავლეებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

პედაგოგების ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლა პერიოდულად აწყობს შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, ასევე ეწყობა მე-9 და მე-11 კლასის მოსწავლეების ვიზიტი პროფესიულ სასწავლებელში. ინტერვიუების დროს ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ჰქონდათ შეხვედრა ბლექსის წარმომადგენლებთან. სკოლა მუდმივად ზრუნავს იმისთვის, რომ მოსწავლეები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლას არ უწარმოებია კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევა. სკოლას მიეცა რჩევა, რომ თვითმმართველობის ჩართულობით ან სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოახდინონ სასკოლო საზოგადოების ან ადგილობრივი თემის ინტერესების იდენტიფიცირება. ასევე შესაძლებელია კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით სკოლამ განახორციელოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.დანართი N 62 სადამრიგებლო პროგრამა

2. დანართი N 64 კურიკულუმები დაწყებითი საბაზო და საშუალო

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (N 01-02/56, 25 დეკემბერი 2025 წ.) დამტკიცებული დოკუმენტი - ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ისგ ჯგუფის შექმნას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, რომლითაც ითვალისიწნებს სსსმ მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. აღნიშნული ინდიკატორის დასადასტურებლად სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული 2025-2026 წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ ტრანსპორტით უზრუნველყოფას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისი ტაბელები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლას არ აქვს ამ ეტაპზე დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება, დირექტორის განმარტებით, მომავალში, ასეთის არსებობის დშემთხვევაში, მიმართული იქნება მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორის შეფასება მოცემული ეტაპისთვის ვერ ხერხდება.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ ხორციელდება ისეთი არასავალდებულო დამატებითი მომსახურება, რომელსაც სჭირდება კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვება.

ინდიკატორის შეფასება მოცემული ეტაპისთვის ვერ ხერხდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 55 მშობელთან ხელშეკრულების ნიმუშები
2. დანართი N 57 მშობელთან ურთიერთობის დებულება
3. დანართი N 30 სკოლის შინაგანაწესი
4. დანართი N 61 სასკოლო სასწავლი გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითის საგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი	**☒ შეესაბამება**

საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, საკითხები და სასწავლო რესურსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და საგნობრივ სტანდარტთან თანხვედრაშია. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებისა და მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების თანამშრომლობითა და წინა სემესტრის გამოცდილების გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად შეარჩიეს შემოქმედებითი ტიპის დავალებები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობითა და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. კათედრაზე პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. მათ აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული კურიკულუმი. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს მშობელთა აზრიც. მაგ: გაკეთდეს კითხვარები მშობლებისთვის, რომლებშიც გამოიკვეთება მშობლების აზრი წინა წლის დავალებებთან დაკავშირებით, კითხვარის შედეგები კი გათვალისწინებულ იქნეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიურების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კათედრებმა/მასწავლებელთა ჯგუფებმა შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები. სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით კურიკულუმი გაზიარებული იქნება და ხელმისწავდომი გახდება სასკოლო საზოგადოებისთვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმს და ისინი ინფორმირებულნი არიან მის შესახებ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს კურიკულუმის მშობლებთან გაზიარების მტკიცებულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: კურიკულუმი აქტიურად იქნეს გაზიარებული მოსწავლეთა მშობლებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;**
- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**

1.1.2. **კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებ სტრუქტურირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ასახულია თემატური დაგეგმ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. მოსწავლეთა დაინტერესების და შინაგანი ძალების გააქტიურებ მიზნით, საკითხების უკეთ გააზრებისთვის განსაზღვრულია კონტექსტმაგალითები, თუმ განსაზღვრული არაა მაგალითები შედარებისთვის. სასწავლო რესურსები წარმოდგენილია როგორ ბეჭდური, ასევე ციფრული შინაარსის რესურსების და პლატფორმების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა** სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე გადაიხედ კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულ გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით. მაგ. ბიოლოგიის საბაზო საფეხურის კურიკულმ შემოქმედებითი დავალების იდეად არის განსაზღვრული ,,ოსტეოპოროზი'', კონტექსტში კი - ,,ძვლ ქიმიური შედგენილობა''. პრაქტიკულად ძვლის ქიმიური შედგენილობა არის შესასწავლი საკითხი ოსტეოპოროზი კი - კონტექსტი. იდეის ფორმულირება შეიძლება იყოს ამგვარი - ,,საინფორმაც ბუკლეტის ან პოსტერის (და ა.შ.) შექმნა ძვლოვანის სისტემის აგებულების და ფუნქციონირებ შესახებ''. ასევე, მე-8 კლასის ქიმიის კურიკულუმში მართებულად არის განსაზღვრული შემოქმედებით დავალების იდეა - საინფორმაციო ბუკლეტის საშუალებით თვალსაჩინოდ წარმოჩენა, თუ როგო შეიძლება ნეიტრალიზაციის რეაქციის არსის შესახებ ცოდნის გამოყენება მჟავიანობასთან არსებულ პრობლემის გადასაჭრელად. შესაცვლელია კონტექსტი - ,,რატომ უწოდეს მჟავას და ფუძეს შორის რეაქციას ნეიტრალიზაცი რეაქცია''. შეიძლება იყოს ამგვარი ფორმულირებით - ,,მჟავე ნიადაგზე კარტოფილის მოსავლიანობ ნეიტრალიზაციის რეაქცია დაკვალიფიცირდება როგორც შესასწავლი საკითხი. ასევე - ფიზიკის კურიკულუმში იდეაში წერია- პოსტერის შექმნა რომელშიც ასახული იქნება, თუ როგო იცავს მკაცრ პირობებში თოვლის სახლი ადამიანებს ყინვისა და სიცივისაგან.

	უმჯობესია იყოს - ,,პოსტერის შექმნა სითბური მოვლენების შესახებ''(საკითხის მიხედვით). თოვლ სახლი კი იქნება კონტექსტმაგალითი. შედარებისთვის გამოდგება სხვა მაგალითი, სადაც ასე შევხვდებით სითბურ მოვლენებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ხელ შეიწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. კურიკულუმის შინაარსები მორგებულია ასაკობრივ თავისებურებებს და კურკულუმებისა და სასწავლო პროცესის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. **რჩევა:** სასურველია კურკულუმების დანერგვისა და შემდეგ რევიზირების პროცესში სამივე საფეხურზე კურიკულუმს ქონდეს დავალების განხორციელელბის ეტაპები, თუ რა სრტარტეგიებითა და ხერხებით მუშავდებდაა შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება. შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა , კონტექსტმაგალითი და ზოგადად კურკულუმები მაქსიმალურად სკოლისა და შესაბამისი კლასის მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით დაიხვეწოს და განვითარდეს. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	უცხო ენის კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები კომპლექსური დავალების იდეები, სასწავლო რესურსები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. კურიკულუმში ინტეგრირებულია სხვადასხვა სწავლების სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პრინციპებს. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ნაწილი ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის სრულფასოვან დაგეგმვას, კერძოდ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) იკვეთება სტრუქტურული და შინაარსობრივი ხარვეზები, პირველ რიგში წარმოდგენილი კურიკულუმების უმეტესობა (III,IV,VI,VIII ,IX კლასების) არ შეესაბამებოდა სკოლის მიერ არჩეულ სახელმძღვანელოებს და წარმოდგენილი იყო სხვა გამომცემლობის სახელმძღვანელოს კურიკულუმები, ასევე ამ და სკოლის მიერ არჩეული

	სახელმძღვანელოს შესაბამის კურიკულუმებში, ხარვეზები უკავშირდება საკითხების ფორმულირებას, ქვეცნებების არარსებობას. მუსიკაში სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად არის იყო დაგეგმილი) დაწყებითი საფეხურის თემები, აქტივობები და შეფასების ფორმები ერთმანეთს შეესაბამება და უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. საშუალო საფეხურზე , პროექტული სწავლების კურიკულუმი არ არის წარმოდგენილი. **შუახევის რაიონის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლამ გაითვალისწინა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში გაცემული შენიშვნები და გადმოადზავნა გასწორებული კურიკულუმები :I,III,IV,VI,VII,VIII და IX კლასებში. გადმოგზავნილი კურიკულუმები შეესაბამება სკოლის მიერ არჩეულ სახელმძღვანელოებს.** **საშუალო საფეხურზე გადმოგზანილია სახვითი და გამოყენებითი საფეხურის საპროექტო სწავლების კურიკულუმი. წარმოდგენილი კურიკულუმები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და საგნობრივ სტანდარტებთან.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე,სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, ბალადის მოთხრობად გადაკეთება, პოსტერების შექმნა, ბუკლეტის შექმნა, ინტერვიუ პერსონაჟთან,ანალიტიკური ესე, პირადი მოსაზრების გამომხატველი ესე),რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

მათემატიკა	მათემატიკის საგნის კურიკულუმ(ებ)ი შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის, მათემატიკის სტანდარტის მიზნების გათვალისწინებით და ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანს შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი სახის დავალებებზე დაფუძნებული სწავლების ელემენტები, რაც ემსახურება ღრმა და ფუნქციური ცოდნის ჩამოყალიბებას. მოსწავლეს აძლევს საშუალებას განვითარდეს ინდივიდუალურად, გამოხატოს თავი და განივითაროს ის უნარები, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია განსაზღვრული როგორც სწავლის საბოლოო მიზანი. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურებრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმში მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი კურიკულუმის მიდგომით, სადაც ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედურ მიზნად განიხილება და უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოსწავლეს უღვივებს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ფანტაზიის უნარს, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მას გააზრებული აქვთ საგნის სწავლა-სწავლების ძირითადი მიზნები.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IVკლასი) წარმოდგენილია კურიკულუმები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება. კურიკულუმებში ჩანს ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებს დაამატონ მეტი ისეთი შემოქმედებითი დავალება და რესურსი, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს სიღრმისეულად გააანალიზონ საგნობრივი საკითხები, მიიღონ ცოდნა პრაქტიკულ ცხოვრებასთან დაკავშირებული გამოცდილების გზით. კარგი იქნება თუ თითოეულ საგანში სწორად განისაზღვრება სტრუქტურული ერთეულების შინაარსი.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ცნებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, საკითხები სავალდებულო თემების ფარგლებში დალაგებულია კლასტერებად. შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად შემუშავებულია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის დაუფლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები , სამივე საფეხურზე შემუშავებულია ესგ-ს გათვალისწინებით, გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად შერჩეული შემოქმედებითი

	კომპლექსური ბუნების დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია სხვადასხვა უნარების განვითარებაზე, **რჩევა:** სამივე საფეხურის კურიკულუმებში მკაფიოდ ჩანდეს რომელი გრძელვადიანი მიზანი, რომელი საკითხით მუშავდება და შერჩეული შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში რომელი სამიზნე ცნებები მუშავდება. **დაწყებითი საფეხური:** მე და საზოგადოებაში, გრძელვადიანი მიზნების „ცვლილება“ (მე-3 კლასი), „ინსტიტუცია“ (მე-4 კლასი) დასამუშავებლად, მკაფიოდ განისაზღვროს საკითხი/საკითხები და სამიზნე ცნებები აისახოს კურიკულუმებში. სასურველია , ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში სავალდებულო თემების გადანაწილება სტანდარტით განსაზღვრული თანმიმედვრობით იყოს წარმოდგენილი. შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებებით დასამუშავებელი სამიზნე ცნებების გარდა, ჩანდეს სტანდარტით განსაზღვრული დანარჩენი გრძელვადიანი მიზნები რომელი საკითხით/საკითხებით მუშავდება. **საბაზო საფეხური:** მოქალაქეობის მე-7 კლასის კურიკულუმში, მე-3; მე-4 და მე-5 სავალდებულო თემებში- “ სრულყოფილად განისაზღვროს გრძელვადიანი მიზნები შერჩეულ საკითხებთან მიმართებით ისე როგორც პირველ და მეორე თემებშია წარმოდგენილი. საქართველოს გეოგრაფიის, მოქალაქეობის მე-9 კლასის კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები ჩამოყალიბდეს მიმდინარე/მოქმედი სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებებიდან გამომდინარე, ისე როგორ არის წარმოდგენილი მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმებში. მაგ; („მეწარმეობა და ინიციატივა“ აღარ არის სტანდარტით განსაზღვრული) , მე-9 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმი ყველა სამიზნე ცნება იყოს თემის ფარგლებში წარმოდგენილი. **საშუალო საფეხური:** მე-11 კლასის გეოგრაფიის და მოქალაქეობის კურიკულუმში, პირველ სავალდებულო თემაში სრულყოფილად განისაზღვროს გრძელვადიანი მიზნები შერჩეულ საკითხებთან მიმართებით ისე როგორც მეორე თემაშია წარმოდგენილი.

	მე-12 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში შემოქმედებითი კომპლექსური დავალების პირობა ლაკონიურად ფორმულირდეს. მსოფლიო ისტორიის მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმებში აისახოს გრძელვადიანი მიზანი „ისტორიული წყარო“. სასურველია, მე-12 კლასის მსოფლიო ისტორიის კურიკულუმში, სავალდებულო თემების გადანაწილება სტანდარტით განსაზღვრული თანმიმედვრობით იყოს წარმოდგენილი. მაგ; „ხანმოკლე მე-20 საუკუნე“ და „მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე“ და მასთან შესაბამისობაში იყოს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ქვეთემები დალაგებული. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**.
უცხოური ენები	საგნობრივი კურიკულუმები მიემართება 21-ე საუკუნის უნარებს, ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს. საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, (რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების გააზრებას), რაც მიანიშნებს იმას, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების გამოცდილებაზე დაფუძნებული მზაობა. კათედრამ წარმოადგინა მოსწავლის მიერ შესრულებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)** **რჩევა: სასურველია სასწავლო პროექტების განხორციელება, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხო ენის სწავლებაში. ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას, ზრდის მოსწავლეების ჩართულობას და მოტივაციას, უვითარებს მოსწავლეებს 21-ე საუკუნეში წარმატებული ცხოვრებისათვის აუცილებელ უნარებს და კომპეტენციებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. სკოლა აცნობიერებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას და აღნიშნული მიდგომები აღწერილია ზოგად მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში. თუმცა წარმოდგენილ კურიკულუმებში აღნიშნული მიდგომების გამოყენება მკაფიოდ არ არის ასახული და ნაკლებად ჩანს, როგორ აისახება ისინი თემების, აქტივობებისა და დავალებების დაგეგმვაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე,სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, ბალადის მოთხრობად გადაკეთება, პოსტერების შექმნა, ბუკლეტის შექმნა, ინტერვიუ პერსონაჟთან,ანალიტიკური ესე, პირადი მოსაზრების გამომხატველი ესე),რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. თითოეული თემატური ერთეული და მასთან დაკავშირებული აქტივობა უკავშირდება საგნობრივ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.** **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო) დაწყებითი და საბაზო საფეხურის კლასების კურიკულუმში სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს „კონტექსტ-მაგალითისა“ და „დავალების იდეა/პირობის“ შესაბამის სვეტებს, მეტი სიცხადით ჩანდეს შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და დავალების იდეა/პირობები. ყველა დაგეგმილ დავალებას კი თან ერთვოდეს დავალების იდეა, სადაც იქნება გამოკვეთილი თუ რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა **რჩევა:** (დაწყებითი) პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ II, VI კლასის კურიკულუმები.

	კერძოდ, II კლასის კურიკულუმში მკაფიოდ გაიწეროს თემა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები . VI კლასის კურიკულუმში კი ზოგიერთი თემის ფარგლებში, მაგალითად თემა: პროპორცია-ში გაერთიანებული საკითხები დაკლასტერდეს თემების მიხედვით და დაკორექტირდეს სამიზნე ცნება/ქვეცნებების სვეტი.
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. გლობალური ფუნქციური უნარები აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. მსგავსი ტიპის დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ , რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IVკლასი) წარმოდგენილი კურიკულუმები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებები სახით და მათში ასახულია სტანდარტით განსაზღვრული

	თემები, ხოლო შედეგების მიღწევა შემოქმედებითი დავალებებით არის უზრუნველყოფილი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** კარგი იქნება, ამ საგნების კურიკულუმებში დაამატონ შემოქმედებითი დავალების იდეები და მათი პირობები; ქვეცნებები; რესურსები. სასურველია, რომ ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.

2. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში მითითებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ასევე წარმოდგენილია ციფრული რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სამივე საფეხურზე დაკონკრეტდეს რომელ სახელძღვანელოს იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საფეხურის კურიკულუმებში ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე ჩანს და ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურს:, ელექტრონულსა და სხვა დამხმარე მასალებს. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სკოლაში გამოყენებული კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები (სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები, და აუდიო-ვიდეო მასალები) უზრუნველყოფს უცხოური ენის სწავლების მიზნებსა და მოსწავლის მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. კათედრის მიერ წაროდგენილი კურიკულუმების და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რესურსები

	შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებლები იყენებენ როგორც ბეჭდურ, ისე ინტერნეტ რესურსებს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა), რაც მიზნად ისახავს ენის პრაქტიკულ გამოყენებას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმში წარმოდგენილია ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისკენ. მუსიკაში წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მიუხედავად იმისა, რომ რესურსები წარმოდგენილია, ცალკეულ კლასებში იკვეთება შეუსაბამობა კურიკულუმში მითითებულ და სკოლაში არჩეულ სახელმძღვანელოებს შორის. კერძოდ, I კლასში წარმოდგენილი რესურსები არ შეესაბამება გამოყენებულ სახელმძღვანელოს და არ არის მითითებული კონკრეტულად რომელი რესურსით სარგებლობენ. ასევე III, IV, VI, VIII და IX კლასებში კურიკულუმი შედგენილია სხვა გამომცემლობების სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით („მერიდიანი“, „კლიო“), მაშინ როდესაც სკოლას არჩეული აქვს „პალიტრა L“ და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სახელმძღვანელოები. აღნიშნული შეუსაბამობები გამომდინარეობს კურიკულუმის დაგეგმვის ეტაპზე არსებული ხარვეზებიდან და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ პრობლემას რესურსების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. შესაბამისი ხარვეზი დეტალურად განხილულია პუნქტში 2.1.2.1. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ

	სახელმძღვანელოზე.შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. კათედრას წარმოდგენილი აქვს რესურსების ჩამიონათვალი, ასევე კათედრის სხდომაზე განხილულია რესურსების მიზნობრივად შერჩევისა და გამრავალფეროვნების საკითხი,რაც, პრაქტიკულად, ნაწილობრივ აისახება წარმოდგენილ კურიკულუმებში ინდიკატორი **შესაბამისობაშია** **რჩევა**-სასურველია,მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში, გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია ისე, რომ ისინი სრულად ემსახურება სასწავლო მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა გამიზნულად იქნა შერჩეული სხვადასხვა ტიპის რესურსები (სახელმძღვანელო, სწავლების ელექტრონული პლატფორმები, ვიდეო მასალები, სხვადასხვა ბეჭდური გამოცემები...). აღნიშნეს, რომ თითოეული რესურსი უკავშირდება კონკრეტულ სწავლის შედეგს და ეხმარება მოსწავლეს ცნებების გაგებაში, პრაქტიკულ გამოყენებასა და უნარების განვითარებაში. ინდიკატორი **შესაბამისობაშია** **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასურველია, მათემატიკის II, VI და XI კლასის კურიკულუმებში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. **რჩევა:** მასწავლებელს მიეცა რჩევა VI კლასის მათემატიკის კურიკულუმში მიეთითოს, თუ რომელი გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვითაა შედგენილი.

სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალ;ური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით.. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი (school.emis.ge, Scratch. mit.edu, 3DPaint, ,,ვსწავლოთ თამაშით", Sway, Powerpoint, Word, Excel, და სხვა) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. ძირითად რესურსებს წარმოადგენს სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დამხმარე რესურსებად გამოყენებულია ელექტრონული მასალები (ვიდეოების ბმულები) თვალსაჩინოებები და ა.შ. რესურსები, ძირითადად, შერჩეული არის სამიზნე ცნებების და თემების შესაბამისად. საგნობრივ კათედრებს ასევე წარმოდგენილი აქვთ დამხმარე რესურსების ჩამონათვალი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, ამ საფეხურზე საგნობრივმა კათედრებმა შეარჩიონ და კურიკულუმში გაწერონ მეტი და მრავალფეროვანი დამხმარე რესურსი.

3. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოადგინილ კურიკულუმებში ჩანს მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა** - საეტაპო აქტივობებში, შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნეს მსწავლელის ტიპი მოსწავლეს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისათვის წარმოდგენილი კურიკულუმები საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შემოქმედებითი კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად შესაძლებელია მათი მოდიფიცირება საჭიროებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელების ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება თავიანთი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით. . სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს სსსმ მოსწავლე, წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური სამოქმედო გეგმა, რაც მოიაზრებს იმას სკოლას აქვს მზაობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. (**ინდიკატორი შესაბამისაობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. სკოლა აცნობიერებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას და აღნიშნული მიდგომები აღწერილია ზოგად მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში. თუმცა წარმოდგენილ კურიკულუმებში აღნიშნული მიდგომების გამოყენება მკაფიოდ არ არის ასახული და ნაკლებად ჩანს, როგორ აისახება ისინი თემების, აქტივობებისა და დავალებების დაგეგმვაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა,რომ მათ გააჩნიათ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლები ,მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე,ახდენენ

	დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის,მოსწავლის მზაობის გათვალისწინებით. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის სიმცირის გამო უფრო მარტივად ახერხებენ და სწავლებისას იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს. ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს — დავალებების სირთულე და მოცულობა მორგებულია სხვადასხვა აკადემიური დონის მოსწავლეებზე. სასწავლო გარემო ხელს უწყობს კომფორტულ, მხარდამჭერ ატმოსფეროს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, თვითდაჯერებულობას და განვითარების შესაძლებლობას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრიდან ნათელია, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. თუმცა, როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლას ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ საგნობრივი კურიკულუმების სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ფარგლებში. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. მასწავლებელს კომპლექსური დავალებები

	ისეთნაირად აქვს შერჩეული, რომ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააკეთონ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა, ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას, რათა მოსწავლის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იყოს. თვითშეფასების ფორმაშიცაა აღნიშნული და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნა, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. სკოლას აქვს მზაობა გამოიყენოს დიფერენცირებაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები, გაკვეთილზე გამოსაყენებელი დამხმარე მასალები და აქტივობები კათედრულ დონეზე, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სწავლება გათვლილია ყველა მოსწავლეზე, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებებისა. ყველა ბავშვი თანაბრად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში , რადგან ამ საფეხურზე მოსწავლეთა სიმცირის გამო შექმნილია კლას-კოპლექტები. დიფერენცირება გათვალისწინებულია კურიკულუმებშიც, რადგან კურიკულუმები არის თემატური დაგეგმვის, თემად აღებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. დავალებების უმეტესობა ორიენტირებულია მოსწავლის ნაცნობ კონტექსტზე, რაც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების ნიმუშები. **ინდიკატორი დაკმაყოფილდა** **რჩევა** - განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკები გაიწეროს ესგ განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. მაგ. ქიმიის სტანდარტის მიხედვით, სამი სამიზნე ცნებიდან - ქიმიური ბმა,ნივთიერება, ფიზიკური და ქიმიური მოვლენები რა ხვედრითი წილით გამოიკვეთება თითოეული მათგანი განმსაზღვრელ ქულასთან მიმართებაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისათვის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპებისაგან. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა შინაარსის ზოგადი ფორმატის შეფასების რუბრიკები , მაგ; განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მე და საზოგადოებაში, მოქალაქეობაში , განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ისტორიაში, მოქალაქეობაში. **რჩევა:** **დაწყებით საფეხური:** მე-4 კლასში მე და საზოგადოებაში ორიენტირდნენ მხოლოდ განმავითრებელ შეფასებაზე და რუბრიკებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები/ინდიკატირები იკითხებოდეს. **საშუალო და საბაზო საფეხური:** სამოქალაქო განათლების პროექტის ფარგლებში მხოლოდ განმავითრებელ შეფასებაზე ორიენტირდნენ და რუბრიკებშიც მხოლოდ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები/ინდიკატირები იკითხებოდეს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო გეგმა და ვერიფიკაციის დოკუმენტი რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, შეფასების მიზნები და ამოცანები. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, მოსწავლეების თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას. კათედრა ასევე ახორციელებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

	რჩევა: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც მოიაზრებს მოსწავლის აკადემიური მიღწევების/სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. დოკუმენტაციაში გაწერილია შეფასების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. ასევე წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნული მიდგომები ქმნის პირობებს მოსწავლის აკადემიური პროგრესის დაკვირვებისა და სწავლის შედეგების შეფასებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	დაწყებით საფეხურზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, პრინციპებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, უმეტესწილად- ზეპირ უკუკავშირებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით. განმსაზღვრელი შეფასებები წარმოდგენილია რუბრიკის სახით, იკითხება კრიტერიუმები და მიღწევის დონეები.რიგ შემთხვევებში არასწორადაა გაწერილი სამიზნე ცნება/ქვეცნებები (მაგ:არგუმენტაცია,ანალიზი) წარმოდგენილია მე-11 კლასის შემაჯამებელი დავალების ნიმუში და შემაჯამებელი წერის ანალიზი, გამოკვეთილია პრობლემა.მტკიცებულებიდან ჩანს,რომ კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მასწავლებლები აკეთებენ დავალების რეფლექსიას,წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების დამადასტურებელი მტკიცებულებები(გაკვეთილზე დასწრება,ურთიერთდასწრება) მოსწავლეებისათვის კი შექმნილი აქვთ თვითშეფასების რუბრიკა. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**. **რჩევა-**შეფასების რუბრიკები,სასურველია,მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე,რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს,რას აფასებთ,მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ სამიზნე ცნებასთან მიმართებით მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების

	მიხედვით.საორიენტაციოდ შეგიძლიათ ისარგებლოთ დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკებით, რომლებიც დანართის სახითაა წარმოდგენილი კურიკულუმებში.
მათემატიკა	შეფასების სისტემა აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების მიხედვით და ემსახურება როგორც სწავლების, ასევე სწავლის პროცესის მხარდაჭერას. სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების სქემები, რომლითაც გეგმავენ მასწავლებლები სასწავლო პროცესის მონიტორინგს. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**.
სპორტი	სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ განმათარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ის მოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი, განმსაზღვრელი, შემაჯამებელი დავალების, შეფასების რუბრიკები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში და თვითშეფასებაში ჩანს, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. სკოლამ დამატებით წარმოადგინა VI კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლის განვითარების დინამიკის ხელმშემწყობი მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე საგნობრივად შემუშავებული აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სისტემატურად იყენებენ განმავითარებელ კომენტარებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

	რჩევა: სასურველია, თითოეულ საგანში შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები. ასევე, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს. დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში ორიენტირდნენ მხოლოდ განმავითარებელ შეფასებაზე და მათ რუბრიკებში მხოლოდ განმავითარებელი უკუკავშირის ინდიკატორები იკითხებოდეს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;**
- **კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **შეფასების/ თვითშეფასების რუბრიკები**
- **საგნობრი კათედრების სხდომების ოქმები**
- **დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების პროცესი დაგეგმილია კურიკულუმების შესაბამისად. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ წინა წლის კურიკულუმების განხორციელების ანალიზის და რეფლექსიის საფუძველზე იგეგმება განახლებული კურიკულუმები და შესაბამისად სასწავლო პროცესი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობით პროცესს და საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას, რაც ხელს უწყობს შესწავლილი საკითხების გამოყენების არეალის ზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამას ადასტურებს როგორც წარმოდგენილი მასალა ასევე მასწავლებელთა ინტერვიუები. კურიკულუმში გაწერილი დავალებები და შესაბამისი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას. **რჩევა:** სასკოლო სასწავლო გეგმაში, საზოგადოერივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფიდან ამოიღონ საგანი „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“. ასეთი საგანი მიმდინარე ეროვნული სასწავლო გეგმით აღარ არის განსაზღვრული. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დადასტურდა როგორც კურიკულუმების დოკუმენტური ანალიზით, ისე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის მიერ შესრულებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები,

	ინტერვიუზე მასწავლებელებმა დეტალურად ისაუბრეს სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების შესახებ. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკაში დაწყებითი და საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად არის დაგეგმილი — თემები, აქტივობები და შეფასების ფორმები ერთმანეთს შეესაბამება და უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეინიშნება კურიკულუმთან შეუსაბამობები. კურიკულუმი არ შეესაბამება სკოლაში არჩეულ სახელმძღვანელოებს, რაც ართულებს სასწავლო პროცესის სრულფასოვან დაგეგმვას. იხ.ხარვეზი 2.1.2.1 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დაწყებით, საბაზო და საშუალო სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართული საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაში ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარის, მიზნის მისაღწევი ქმედებების დაგეგმვის და განხორციელების გზით.კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს და მიღებულ ცოდნას უკავშირებენ რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს. რაშიც გარკვეულწილად ეხმარება ქართული ენისა და ლიტერატურის წრის მუშაობა(წარმოდგენილია წრის სამუშაო გეგმა და წრის ოქმი) ინდიკატორი **შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დეგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახავს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. გაკვეთილების თემატური დაგეგმვა შეესაბამება წლიური მიზნებისა და სწავლის შედეგების თანმიმდევრულობას.

	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ინტეგრირებული გაკვეთილები, საგნობრივშორისი კავშირების გაღრმავება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის უნარების განვითარებას რეალურ კონტექსტში. ეს მიდგომები აძლიერებს სწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას და ემსახურება ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია** **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (რომელიცაა შიდასასკოლო ფესტივალები და კონფერენციები), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების შექმნისთვის გეგმა და მეთოდიკა, რომელიც ეყრდნობა კათედრების/დამრიგებლების/ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. მათემატიკისა და ისტ-ის კათედრამ განიხილა სკოლის გამოწვევები, მუშაობისას აქცენტი გააკეთა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, განაახლა სასკოლო კურიკულუმი და დასამტკიცებლად მოამზადა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა**: სასურველია მოეწყოს მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა ცდილობს საგანმანათლებლო პროცესის გაანალიზებას და ოპტიმიზაციას გარემოებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს. ამის მაგალითია რემედიაციის გეგმა, რომელშიც ჩანდა მოსწავლის საჭიროებების მიხედვით დასახული მიზნები და პრობლემის აღმოფხვრის გზები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა ატარებს ზოგად ხასიათს, უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა, გამჭვირვალეობა, სანდოობა, ობიექტურობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილდა** **რჩევა** - ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით შეფასების რუბრიკები გაიწეროს ესგ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეფასების სიტემის სტანდარტთან შესაბამისობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. **რჩევა:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგანში , კურიკულუმებით განსაზღვრული ყველა სამუშაო- შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალება შეფასდეს, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკებით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში და ვერიფიკაციის დოკუმენტში აღწერილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების წესები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა,რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე. კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და შემაჯამებელი დავალების ანალიზი. **(ინდიკატორი დაკმაყოფილებულია)** **რჩევა: სასურველია კათედრაზე თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებს და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებზე. გამოყენებულია როგორც ტესტური, ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების პროცესი გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების რეგულარულ ფიქსირებას. **(ინდიკატორი დაკმაყოფილებულია)**
სახელმწიფო ენა	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები,ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. სასწავლო პროცესში ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები ასახავს აქტივობის შინაარსს, მიზნებს, კრიტერიუმებს ქულებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. მასწავლებლებმა საუბრისას გამოთქვეს მზაობა, რომ საკუთარი

	გამოცდილების გაანალიზების შედეგად კიდევ უფრო გააუმჯობესებენ შეფასების სისტემას, შემუშავებული ექნებათ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისი შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სქემებით მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და პროგრესის კონტროლს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებისთვის უმეტესად ნათელია რა კონცეფციაზე დაყრდნობითაა შემუშავებული შეფასება. მასწავლებლები თვლიან რომ ისევ განვითარების პროცესში არიან, აფასებენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და სისტემის გაუმჯობესებისთვის დგამენ აუცილებელ ნაბიჯებს, რაც ასახულია კათედრის ოქმებშიც. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან.. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს გააზრებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კათედრაზე არსებობს დიაგნოსტირების, ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომელსაც იყენებენ 2025-2026 სასწავლო წელს შეფასებისათვის და სწავლის შედეგების გაზომვისა და გაანალიზების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა დოკუმენტში არ არის ასახული/ გადანაწილებული კონკრეტული ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოებაზე. ამასთან დაკავშირებით მიეცათ **რჩევა,** რომ გაითვალისწინონ აღნიშნული. სკოლა ამჟამად მუშაობს ამ დოკუმენტის დახვეწაზე. საგნობრივი კათედრების წევრები კი აანონსებენ, რომ კათედრის სხდომებზე განხილავენ შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხს და ამ დისკუსიის შედეგად დახვეწენ შეფასების ინსტრუმენტებს. საერთო შეფასებით, მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლა ინახავს კანონით განსაზღვრული ვადით არსებულ მონაცემებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შეფასების რუბრიკები;**
- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **კათედრების ოქმები;**
- **შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.**

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი რესურსი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სახით. ასევე დამატებითი რესურსები უმეტესად ციფრული და მედიამასალების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურუკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსები, რომელსაც იყენებენ საგაკვეთილო პრეცესში, ეს რესურსები ყველა კლასისთვის ძირიდათად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებია. სკოლა ასევე იყენებს დამხმარე სასწავლო რესურსებს, ელექტორნული რესურსების ნაწილი კურიკულუმშია ჩაშენებული. **რჩევა:** საბაზო, საშუალო საფეხურის მოქალაქეობის (მე-9 კლასი), მსოფიოს ისტორიის (მე-12 კლასი) კურიკულუმებში, რესურსების სვეტში, კონკრეტულად მიეთითოს როგორც ძირითადი სახელმძღვანელოდან გვერდი და პარაგრაფი, ასევე ელექტრონული რესურსების მისამართი. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით. პედაგოგები აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელოებს, სამუშაო რვეულებს, ვიზუალურ, და აუდიო მასალებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება შეესაბამება თემატური გეგმების მიზნებს და დადასტურდა როგორც დოკუმენტაციის გადახედვის, ისე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. **(ინდიკატორი დაკმაყოფილებულია)**

ესთეტიკური აღზრდა	მუსიკაში სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები და ისინი შეესაბამება კურიკულუმში მითითებულ მასალებს. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კურიკულუმში მითითებული რესურსები არ შეესაბამება სკოლაში რეალურად გამოყენებულ სახელმძღვანელოებს. აღნიშნული ხარვეზი დეტალურად აღწერილია ზემოთ შესაბამის პუნქტში. **(ინდიკატორი დაკმაყოფილებულია)**
სახელმწიფო ენა	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე რესურსები საკითხების შესაბამისად, რიგ შემთხვევაში არ არის მითითებული სახელმძღვანელოების ავტორები, გვერდები და ელექტრონული რესურსების ბმულები.რესურსის შერჩევა ხდება კათედრის სხდომასა და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, ყველა კლასში, კურიკულუმებში წარმოდგენილია საკითხის შესაბამისად უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება
მათემატიკა	მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სწავლების მეთოდურ მრავალფეროვნებას. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის რესურსი: სამუშაო ფურცლები, ვიზუალური მასალები, ონლაინ პლატფორმები და სხვა. ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გადატანაში, კრიტიკული და რაოდენობრივი მსჯელობის განვითარებაში და მათემატიკური ცნებების ფუნქციურად გააზრებაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რესურსების გამოყენების პრაქტიკა სკოლაში თვალსაჩინოა, ყველა გამოყენებული რესურსი სრულად არ აისახება წერილობით კურიკულუმში, რაც აფერხებს დაგეგმვის პროცესში რესურსების სისტემურად დანახვას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

	რჩევა: (საბაზო, საშუალო) სასურველია, რომ მათემატიკის II, VI და XI კლასების კურიკულუმში მკაფიოდ მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, რაც გააუმჯობესებს კურიკულუმის პრაქტიკულობას და გააჩენს რესურსების გააზრებულად შერჩევის კულტურას.
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების ფორმა, რომლებიც მოიცავს ძირითადი და დამხმარე რესურსების ველებს. დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია school.emis.ge და ასევე სხვა ელექტრონული პლატფორმები.სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული რესურსების შეუფერხებელ გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების დროს მასწავლებლები, იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი, როგორც ძირითადს (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარეს (მაგ. სამუშაო ფურცლები, ვიდეოები, ციფრული პლატფორმები). ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	როგორც სკოლის ასევე კათედრის ფარგლებში დამხმარე რესურსების ვალიდაცია უზრუნველყოფილია. საზოგადობერივი მეცნიერებების კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. რაც დასრტურდებაკათედრის ოქმით. **რჩევა:** პერიოდულად გადამოწმედეს საზოგადოებრივ მეცნიერებების ყველა საგნის კურიკულუმებში ჩაშენებული ელექტრონული რესუსრების ბმულები, დროულად მოხდეს მისი ჩანაცვლება , მითითებული ელექტრონული გვერდის ხარვეზის შემთხვევაში. სასურველია შეირჩეს ისეთი ოფიციალური წყაროების ბმულები, რომელთა მოქმედება გრძელვადიანი და მდგრადია. შერჩეული ბმულზე ინფორმაციის შინაარსი უკავშირდებოდეს დასამუშავებელ საკითხს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინ საგნობრივი შესაბამისობის, ასაკის შესაბამისობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრის გადამოწმებას. რესურსების გამოყენებამდე განხილვა ხდება საგნობრივ ჯგუფებში და საჭიროების შემთხვევაში – სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. ვალიდაციის პროცესი უზრუნველყოფს, რომ დამხმარე რესურსი არის მიზნობრივი, სანდო და განვითარებაზე ორიენტირებული. **(ინდიკატორი დაკმაყოფილებულია)**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევას შინაარსობრივი შესაბამისობისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ხორციელდება მასწავლებლების მონაწილეობით და გამოიყენება სასწავლო პროცესში მიზნობრივად. **(ინდიკატორი დაკმაყოფილებულია)**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება.რაც

	წარმოდგენილია აქვთ დოკუმენტში-რესურსების ჩამონათვალი. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს, სამომავლოდ, სწავლა-სწავლების პროცესში აქტივობებს ისე დაგეგმავენ, რომ შესაძლებელი იყოს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, თემის უკეთ შესწავლას, გააზრებას და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლაში/კათედრაზე ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრა, რომელიც ყოველწლიური შეხვედრების ფარგლებში განიხილავს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე რესურსების შერჩევის საკითხებს. კერძოდ, მათემატიკის კათედრის სხდომის N1 ოქმი (12.09.2025) ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში განხილული იქნა თემა: „საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა;". სხდომის ფარგლებში კათედრის წევრებმა განიხილეს ძირითადი და დამატებითი რესურსების შინაარსობრივი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე მათი ფუნქციურობა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგება. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას — ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ რესურსების შერჩევა ემყარება პროფესიულ მსჯელობას, საგნობრივ და ასაკის შესაბამისობას და არა შემთხვევითობას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.** **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო საშუალო) მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასწავლო წლის დასაწყებად საჭირო აქტივობები, როგორიცა სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა, კურიკულუმების განხილვა-დამტკიცება და სხვა აუცილებელი ქმედებები განხორციელდეს სასწავლო წლის დაწყებამდე გონივრულ ვადაში. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა სასწავლო რესურსი, რომელიც ასევე საგნის კურიკულუმებშიც იკითხება

	(ვიდეო მასალები, სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, აქტიური ლინკები და სხვა) წინასწარ, სასწავლო წლის დასაწყისშივე იყოს შერჩეული და დამტკიცებული კათედრის სხდომაზე.
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია დასტურდება საგნბრივი კათედრების ოქმებში . **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, რომელიც გარკვეულწილად აღჭურვილია საგნობრივი მიმართულებების მიხედვით, აქვთ მწირი რაოდენობით ქიმიური რეაქტივები. თუმცა სწავლის შედეგების მიღწევას პედაგოგები ანაცვლებენ სხვადასხვა ციფრული რესურსის გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა , სასკოლო გარემო და მატერიალური ბაზა, სახელმძღვანელოები, რესურსები . **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური საშუალებები (დაფები, აუდიო-ვიდეო მოწყობილობები, კომპიუტერები და სხვა), რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას. **(ინდიკატორი დაკმაყოფილებულია)**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის ორგანიზება და რესურსების გამოყენება გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობისა და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. არსებული მატერიალური რესურსი საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად. **(ინდიკატორი დაკმაყოფილებულია)**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები.ინდიკატორი **შესაბამისობაშია**
მათემატიკა	მასწავლებლები კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსს, ისეთი როგორიცაა, კომპიუტერული ტექნიკა, მოძრავი პროექტორი, სივრცული ფიგურები, სხვადასხვა თემატური პლაკატები, ელექტრონული პლათფორმები და სხვა. სკოლას აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ შესაბამისად, სკოლის ყველა მოსწავლეს, წინასწარ განსაზღვრული წესით, აქვს წვდომა კომპიუტერულ ლაბორატორიაზე და სასკოლო ბიბლიოთეკაზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროცესს. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტრული ლაბორატორიის სარგებლობის წესი და განრიგი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობს ინტერნეტი. აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სწავლა სწავლების პროცესს წარმართავენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული ყველა საგნობრივი დისციპლინის შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები. სკოლაში სწავლების სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში ჩართულია 11-უფროსი 2-წამყვანი და 2-სტატუს გარეშე მასწავლებელი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კონკურსის დებულება
- შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

   სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს შესაბამისად, ასევე რამდენად მოაქვს დაგეგმილ პროცესს სასურველი შედეგი.

   კურიკულუმის მონიტორინგის პროცესი ხორციელდება კათედრის წევრებისა და დირექციის უშუალო თანამშრომლობის შედეგად. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი ტარდება წელიწადში ორჯერ, შუალედური და წლის ბოლოს. განმახორციელებელია სპეციალურად შექმნილი ჯგუფი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგის პროცესი თანამშრომლობასა და განვითარებაზეა დაფუძნებული და მიზნად ისახავს პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების ძიებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი (V-VI კლასები) და განმავითარებელი შეფასების (I-VI კლსები) რუბრიკებით, ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ მზაობა , რომ ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე დაყრდნობით აწარმოონ ჰოლისტური შეფასება. კერძოდ, სასკოლო საზოგადოებას აქვს სწორი ხედვა რომ შეფასება იყოს ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება მოახდინონ სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი, მაგ. მოსწავლეთა ოჯახური პირობები, სოციალური მდგომარეობა, ტრადიციები და ა.შ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

პედაგოგებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება შეფასების რუბრიკების მიხედვით. რომლის დახვეწა სამიზნე ცნებებთან მიმართებით განხორციელდა ვიზიტის პერიოდში. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა განხორციელებული დიაგნოსტიკური შეფასების შესახებ ვერანაირი დოკუმენტი, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ დაგეგმილი აქვთ დიაგნოსტიკური შეფასება და მზად არიან მომდევნო სასწავლო წლიდან განახორციელონ იგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: სკოლამ დაგეგმოს და განახორციელოს დიაგნოსტიკური შეფასება, რომლის შედეგებსაც გამოიყენებს საგნობრივი კურიკულუმების განვითარების პროცესში.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით მოახდინოს დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მაგალითად, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე,

გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა განვითარების მეთოდოლოგია;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი პერიოდულად ახორციელებენ კურიკულუმის რევიზიას. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მსჯელობენ რომელი კომპონენტი მუშაობს კარგად და სად სჭირდება ცვლილება, შემდეგ კი ქმნიან სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. გარდა ამისა, მასწავლებლები ურთიერდასწრების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი სახით, თუმცა აპირებენ განახლებული დოკუმენტის შემუშავებას დათქმულ ვადაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, რომ მოახდინონ მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია მათზე. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ძალისხმევა მიმართონ დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**
   საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ მზაობა, კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ჩართული იყოს ყველა მასწავლებელი. ამასთან, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

➢ **კურიკულუმები**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ N 01-02/43
- მისია ,ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი
- სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და ბრძანება ჯგუფის შექმნის დამტკიცების შესახებ N 01-02/27
- ფილოსოფიისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი საჭირო ღონისძიების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის N 1 ოქმი
- ფილოსოფიისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი საჭირო ღონისძიების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის N 2 ოქმი
- ამონაწერი რეესტრიდან
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის კითხვარი და ანალიზი

- ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი
- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა
- დანართი N 8 ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა
- დანართი N 9 სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- დანართი N 10 სამეურვეო საბჭოს ოქმი 7 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის ფინანსური მდგომარეობისა და ანგაირშების შესახებ.
- სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი

თარიღი 21. 04. 2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ზაზა ჭანტურია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ია ძირკვაძე

მზევინარი დარბაისელი

მეგი ტალახაძე

ნათია ქათამაძე

მარიკა ბოცვაძე

მზია შევარდნაძე

ნინო გორგილაძე

ნათია კოხოძე



ედუარდ ნაკაიძე